საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 მარტი, 2014 წელი.

№49 (7430)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ელიზბარ ჯაველიძე:

კოუორიძე, გიგაური, ლომჯარია, უსუფაშვილი, სიდაშელი, ბერძენიშვილები – ებრძვიან ქართველ ერს!

4

დუბლინში თავისუფლად წასვლა უგულავას შესაძლოა, პატიმროზად დაუჯდეს

3

„ნაცების“ ბავშვური სიჯიუტე – კაბინეტებში არ შევალთ!

7

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების პერსპექტივა

8

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო სან-დიეგოდან

დაშავებულმა ქართველმა სამხედროებმა პარაოლიმპიადაზე პნევმატური იარაღიდან სროლაში 244 მონაწილესთან ერთად წარმატებით იასპარეზეს. ოქროს მედლის მფლობელი მსუბუქი კატეგორიის დაშავებულებს შორის სერჟანტი **ბახვა დარსალია** გახდა, პირველი კლასის რიგითმა **გიორგი კოჭუაშვილმა** კი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საშუალო კატეგორიის დაშავებულთაგან, უმცროსმა სერჟანტმა – **იაკობ ზოსიაშვილმა** ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

სან-დიეგოში მიმდინარე მსოფლიო პარაოლიმპიადის ფარგლებში, ქართველმა სამხედროებმა მშვილდისრით სროლის, 10-კილომეტრიან მანძილზე ხელით ველორბოლასა და 30-კილომეტრიან დისტანციაზე ველოსპორტის შეჯიბრებებშიც მიიღეს მონაწილეობა.

პარაოლიმპიადის ფარგლებში, ქართველი სამხედროები სირბილისა და ცურვის ტურნირებშიც იასპარეზებენ.

ჩემპიონატში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და **უთფა**-ის საერთაშორისო მისიაში დაჭრილი 13 ქართველი სამხედრო ასპარეზობს. პარაოლიმპიადაში, საბრძოლო მოქმედებების დროს დაშავებული, 10 ქვეყნის შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე 350 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

მსოფლიო პარაოლიმპიადის ფინალი პენდელტონის ბაზაზე 13 მარტს გაიმართება.

ჩვენთან - ორჯერ უფრო ძვირად...

6

„რომ გავიზრდები, იმ ცუდ კაცს მოვკლავ“...

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მართლმადიდებელ ეკლესიათა იერარქიაში საქართველო, სავარაუდოდ, მე-6 ადგილს მოითხოვს

— ამის შესახებ ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი ადგილი აქვს მინიჭებული. ავტოკეფალურ ეკლესიათა დიპტიხი ეკლესიათა სიძველეს და მის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს.

ვარდოსანიძის განმარტებით, ამჟამად საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას დიპტიხში მე-6 ადგილი არაოფიციალურად უკავია. ზოგიერთი ეკლესია ამას აღიარებს, თუმცა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო მიიჩნევს, რომ ქართული ეკლესია დიპტიხში მე-8 ადგილზეა.

ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ ასევე განაცხადა, რომ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია მე-5 საუკუნიდან აქვს. 1254 წელს რომის ეკლესიის გაყოფის შემდეგ საქართველოს ეკლესიას დიპტიხში მე-5 ადგილი ეკავა. ეკლესიათა იერარქიით მასზე წინ ანტიოქია, ალექსანდრია, იერუსალიმი და კონსტანტინეპოლი იყო. მისივე თქმით, მე-16 საუკუნეში რუსეთის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის კუთვნილი მე-5 ადგილი რუსეთის ეკლესიამ დაიკავა.

— ამ დროს უკვე რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო იქმნება, ქართული სახელმწიფო კი პირიქით — სუსტდება. საქართველო გამუდმებით ირან-ოსმალეთის აგრესიის პირობებში იმყოფებოდა და სახელმწიფოს არ შეეძლო, ეკლესიისთვის პოლიტიკური მხარდაჭერა გაეწია. რუსეთის ეკლესიამ კი მოახერხა, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან გამოითხოვა წერილობითი დასტური და მე-5 ადგილი დაიკავა. შემდეგ ეს საკითხი განსახილველად კარგა ხანს აღარ დამდგარა. მე-19 საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია საერთოდ დაკარგა. 1917 წელს, როდესაც აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აღიარების პროცესი ძალიან რთული იყო. რუსეთის ეკლესიამ ჩვენი ავტოკეფალია მხოლოდ 1943 წელს და თანაც მეექვსე ადგილზე აღიარა. რაც შეეხება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ჩვენი ისტორიული ავტოკეფალია 1990 წლის 4 მარტს აღიარა, — დასძინა ვარდოსანიძემ.

მისივე თქმით, დიპტიხში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი დღემდე სადავო და გადაუჭრელია. სწორედ ამიტომ, კათოლიკოს-პატრიარქმა 6 მარტს სტამბოლში, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოში გამართულ პანორთოდოქსული შეკრების მონაწილეებს ამ საკითხითაც მიმართა.

სერგო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მსოფლიო კრება 2016 წელს გაიმართება და მასზე შესაძლოა, ისეთი საკითხები განიხილონ, როგორიც არის: ეროვნულ საზღვრებს გარეთ არსებული მართლმადიდებლური გაერთიანებების იურისდიქციის განსაზღვრა; საეკლესიო ავტოკეფალიის სტატუსის აღიარების პროცედურა; საეკლესიო ავტონომიის სტატუსის აღიარების პროცედურა; დიპტიხი; დღესასწაულების საერთო კალენდრის საკითხი; კავშირი სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან, ეკუმენისტური მოძრაობა და სხვა.

რაც შეეხება საქართველოს პატრიარქის განცხადებას, პატრიარქმა სტამბოლში, პანორთოდოქსულ შეკრებაზე განაცხადა: „ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინეპოლის ეკლესიის დიპტიხში. თუ ეს არ გამოსწორდება და თუ ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება“.

◎ ლია წერილი

ქართველი საზოგადო მოღვაწეები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავენ!

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს - ზვიად გამსახურდიას მრავალი დამსახურება მიუძღვის ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. მან მთელი ცხოვრება შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას; სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას და სწორედ მისი მეთაურობით, მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ დამსახურებული პატივი მიაგოს ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, საზოგადოებაში გაჩნდა იდეა, თბილისის აეროპორტს მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან მაშინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ფასეულობები.

მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში თბილისის საკრებულოში უმრავლესობა შეიცვალა, საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდებოდა ამ ინიციატივის განხორციელება, თუმცა, საკრებულოს უმრავლესობამ, წინამორბედის მსგავსად, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის და იმ ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, რასაც ის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. მით უფრო სამარცხვინოა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება, როდესაც დედაქალაქში უკვე არსებობს ჯორჯ ბუშის, ჰოლბრუკის, ალიევის და კაჩინსკის ქუჩები, რეიგანის ძეგლი, სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორების გამზირები და პანთეონები.

თქვენ, როგორც მთავრობის და მმართველი პარტიის მეთაურს, შეგწევთ ძალა, განახორციელოთ თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების იდეა. მით უფრო, რომ წელს სრულდება 75 წელი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან. გთხოვთ, პირადად დაინტერესდეთ ამ საქმით და გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ძალაუფლება.

წინასწარ გიხდით მადლობას.

თამაზ წივწივაძე, რეზო ამაშუკელი, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ელიზბარ ჯაველიძე, თემურ ძორიძე, დავით სოკოლოვი, ავთანდილ რცხილაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, მანანა ტაბიძე, გულიკო გიგიბერია, დალი ფიროსმანაშვილი, მანანა გაბაშვილი, ზანა რეხვიაშვილი, ზაზა ჩიძოვანი, შოთა ზედგენიძე, ლეილა მირიანაშვილი, თამარ ჭავჭავაძე, ელენე აბაშიძე, სოფო ძარალაშვილი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სტრასბურგის სასამართლო?

სტრასბურგის სასამართლო რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ერთ-ერთ სარჩელზე გადაწყვეტილებას 15 მარტის შემდეგ მიიღებს.

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

მისი განმარტებით, საქართველოს სტრასბურგის სასამართლოში ორი დავა აქვს, რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს პირველი დავა 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების რუსეთის ფედერაციიდან მასობრივად გამოძევების ფაქტს ეხება.

მინისტრის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მიწერ-მოწერა იყო სტრასბურგის სასამართლოსთან რამდენიმე კვირის წინ, თუმცა დეტალების გახმაურება იკრძალება.

— მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია არის უცვლელი, ამ პოზიციას კანონის თანახმად იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს და სტრასბურგის სასამართლოსგან მიღებული გვაქვს წერილი, რომ ამ პირველ სახელმწიფოთაშორის დავაზე განაჩენი გაზაფხულზე გამოქვეყნდება. გაზაფხული, საქართველოში იწყება 1 მარტს, მაგრამ საფრანგეთში იწყება 15 მარტს და მთავრდება 15 ივნისს, — აღნიშნა წულუკიანმა.

რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს მეორე დავას, ეს 2008 წლის 11 აგვისტოს სტრასტბურგის სასამართლოში მაშინდელი იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ შეტანილ საჩივარს ეხება, აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით.

— მე მინდა წინასწარ ვუთხრა საზოგადოებას, რომ ამ შემთხვევაშიც უცვლელია პოზიცია ქართული სახელმწიფოსი, მაგრამ ეს სამართლებრივად ურთულესი დავაა. ეს არის ის დავა, რომელიც ძალიან ბევრ საკითხს წამოჭრის, არა მხოლოდ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის კუთხით, თითქმის ყველა ნაწილში, არამედ საერთაშორისო ჰუმანიტარული კუთხითაც ისმის აქაიქ სერიოზული კითხვები, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, მისი მოთხოვნით ქართულ მხარეს სტრასბურგის სასამართლომ მისცა დამატებითი დრო, რომ საქართველოს სახელმწიფომ პოზიციები გაიძლიეროს და დაიხვეწოს სამართლებრივი კუთხით. ამის ვადა კი საქართველოს მთავრობას 2014 წლის ოქტომბრამდე აქვს.

გადადგომას არ ვაპირებ

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ პროექტ „ღია მმართველობის“ ფარგლებში ჟურნალისტებთან გამართული შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, როცა გადადგომას დააპირებს, პრემიერის შემდეგ ამას პირველად ჟურნალისტები გაიგებენ.

— მე გადადგომას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჩემი როლი ერთ-ერთი მოკრძალებული როლია იმ მთავრობის საქმიანობის ფარგლებში, რომელსაც ბევრი საქმე აქვს წამოწყებული, — აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, საფრანგეთში დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესის წაგების გამო, შესაძლოა, თეა წულუკიანმა თანამდებობა დატოვოსო.

ყირიმის რადამ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო

ყირიმის რადამ დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დეკლარაციას ხმა 78 -მა დეპუტატმა მისცა. დოკუმენტის ოფიციალური სახელწოდებაა „ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ 16 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ თუ ხალხის ნებით მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ყირიმის ა/რ და ქალაქ სევასტოპოლის რუსეთის ფედერაციაში გაწევრების შესახებ. ყირიმი რეფერენდუმის შემდეგ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდება, რომელსაც რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ექნება.

◎ ინფორმაცია

თბილისის მერიასთან მეხანძრეებმა ორი კარავი გაშალეს

თბილისის მერიის შენობის მოპირდაპირე მხარეს, გაფიცულმა მეხანძრე-მაშველებმა ორი კარავი გაშალეს. დაახლოებით 15-მდე მეხანძრემ გუშინ თბილისის მერიის შენობასთან ჯერ აქცია-ბრიფინგი გამართეს, შემდეგ კი შენობის მეორე მხარეს გადაინაცვლეს, სადაც ორი კარავი გაშალეს.

აქციაზე მეხანძრე-მაშველებმა თბილისის მერიას საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის თემურ გიორგაძის და მისი დისშვილის, სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების უფროსის ლევან ჩხიკვაძის თანამდებობიდან გადადგომა მოსთხოვეს.

მაშველების განცხადებით, თემურ გიორგაძე კრიმინალია, პერიოდულად სამსახურში ზონდერების გადამზადება ხდებოდა, რომ მიტინგები დაეშალათ.

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მორიგე ცვლის უფროსმა გიორგი დიასამიძემ განაცხადა, მან პირადად იმუშავა თემურ გიორგაძის აგარაკზე და ამ ფაქტების შესახებ თბილისის მერიამ იცის.

გაფიცული მეხანძრე-მაშველები აცხადებენ, რომ მათი ნაწილი აქციას აგრძელებს მერიის საგანგებო და გადაუდებელი მართვის სააგენტოს შენობასთან, ნაწილი კი დღეიდან აქციას გააგრძელებს მერიის მოპირდაპირე მხარეს და ყოველ დილით სირცხვილის კორიდორს მოუწყობენ მერიის თანამშრომლებს.

გაფიცულების თქმით, პერიოდულად შიმშილობის აქციაში დაახლოებით 30-მდე მეხანძრე-მაშველი მონაწილეობდა, თუმცა, ამ შიმშილობას არანაირი შედეგი არ გამოუღია და მხოლოდ მათი ჯანმრთელობა დააზიანა.

მეხანძრე-მაშველები ამ აქციის გაგრძელებას თვითმმართველობის არჩევნებამდე აპირებენ.

თბილისის მერია მაშველების აქციას გამოეხმაურა. როგორც მერიის საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ კობა ბრეგვაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სააგენტოში შექმნილია ჯგუფი მაშველებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. სააგენტოს ხელმძღვანელობა გაფიცულებს სთავაზობს სასამართლოს გზით აღიდგინონ სამსახურში თავი.

სამტრედია-ზესტაფონის ავტობანზე დასაქმებულებმა საპროტესტო აქცია გამართეს

აქციის მონაწილეთა განცხადებით, შპს „ბორანი“, სადაც ისინი არიან დასაქმებული, ოთხ თვეზე მეტია მათ ხელფასებს არ უხდის.

— ოთხი თვეა, კუთვნილი ხელფასი არ აგვიღია. ხელმძღვანელობა ყოველი თვის ბოლოს გვპირდება, რომ დავალიანებას აგვინაზღაურებს, თუმცა, გვატყუებენ. სამუშაოები ჯერ არ შეგვიჩერებია, რადგან ნაწილი მუშებისა აგრძელებს ავტობანზე მუშაობას, თუმცა, თუკი ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციას ისინიც შემოურთდებიან, — აცხადებენ გაფიცულები.

ინტერპრესი

◎ დასკვნა თქვენ გააკეთეთ!

რუსეთმა საქართველოში დესანტი გადმოსხა

ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსეთმა საქართველოში 200-კაციანი დესანტი გადმოსხა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ 200 კაცში 200-ვე ქართველია და ისინი არ არიან შეიარაღებულები ცეცხლსასროლი იარაღით. მათი მთავარი შეიარაღებაა ინსტრუქციები, ფული და ე.წ. „ჩიპები“, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის პოლიტიკისების კომპრომატები „ინახება“. კომპრომატების დედნები კი „მყარად“ სხვაგან -კრემლისთვის უფრო საიმედო ადგილზეა ჩაკეტილი.

ქართული წარმოშობის რუსული დესანტის მისია ადვილი გასაშიფრია თუ მათ რამდენიმე „დვიჟენიას“ დავაკვირდებით.

ბოლო დღეების განმავლობაში ოცამდე „რუს“, ანუ ქართველ ბიზნესმენს შეხვედრა ჰქონდა ასზე მეტი ქართული კომპანიის მფლობელთან. საუბრის თემა – წილები, ახალი კომპანიები და დიდი ფულის შემოტანა ქართულ ბაზარზე. ეს ჩვენი მთხლე ბიზნესმენები მოხიბლულები არიან და ეიფორიაში ჩავარდნილები ფიქრობენ, რომ დიდ ფულს იშოვნიან, იმაზე მეტს რაშიც ახლა იხრჩობიან და ვერ ხარჯავენ. ჩემი ინფორმაციით, მხოლოდ ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა დასვა კითხვა, სანაცვლოდ რა გინდათო? რაზეც უპასუხეს – არც არაფერი, საქართველოშიც ხომ უნდა იყოს რეალურად ნორმალური ცხოვრება, დაიტანჯა ხალხი... ამან, წადით თქვენიო და შეხვედრა დატოვა. სეგმენტი, რომლითაც ინტერესდებიან ინვესტორ-ბიზნესმენ-„დესანტნიკები“ საკმაოდ ფართოა, მშენებლობიდან დაწყებული ბაკებით დასრულებული.

აღტკინებულ ქართველ ბიზნესმენებს მივმართავ: კაცი რომ მოდის და 10 მილიონს ჩავდებ საქმეშიო, გეუბნებათ, ის მაინც გაიკითხეთ, აქვს ამ ადამიანს ამდენი ფული? ის მაინც იკითხეთ თქვენს შემდეგ კიდევ ვის შეხვდა და იმასაც რომ 10 მილიონი შესთავაზა, შემდეგსაც, შემდეგსაც და კიდევ შემდეგსაც, ეს ხომ რეალურად 50 მილიონია. ამ კაცს ჰა-ჰა 2 მილიონიც რომ არ აქვს, მაგაზე გიფიქრიათ? ვის ფულს გაძლევენ და გპირდებიან და რა ვალდებულებით? რატომ არ უსვამთ ამ კითხვას საკუთარ თავს?

იმ დესანტის მნიშვნელოვანი ნაწილი შეხვედრებს ოჯახებში – ცნობილ ოჯახებში მართავს. სუფრასთან საბაასო თემა - პუტინი უკრაინასთან მართალია, ივანიშვილი არასწორად მოიქცა, შეუსრულებელი ვალდებულებებით გაიქცა და დაიმალა; ღარიბაშვილი არ არის ის, ვის პირობებშიც შესაძლებელია, რუსეთმა საქართველოს აფხაზეთი და ოსეთი დაუბრუნოს; პოლიტიკა წესებს ექვემდებარება – ბიძინამ ეს წესები დაარღვია, ისევე როგორც სააკაშვილმა; პუტინს უყვარს საქართველო და ქართველები და აქ ნორმალური ხელისუფლება რომ მოვიდეს, არანაირი ტერიტორიული პრობლემა არ იქნება. „ინტელექტუალური გვამები“, რომლებიც ამ სუფრებს უსხედან, ყოველგვარი აპელირების გარეშე თანხმდებიან საპატიო სტუმრებს – „დესანტნიკებს“. საუბარს ესენიც უკრაინის ახალი ხელისუფლების გინებით, იანუკოვიჩის სიბრიყვეზე საუბრით იწყებენ, მერე ივანიშვილს დასცინიან – სხვათა შორის, **ამათგან არაერთს აპურებდა წლების განმავლობაში საკუთარი გრანტითა თუ სტიპენდიით, პერსონა, რომელსაც ახლა „ჭორვილად“ მოიხსენიებენ. უგინებელი არც მიშა რჩება და არც ობამა. ბოლოს კი ყველა ერთხმად აცხადებს, რომ პუტინი ბრძენია. მითხარით ახლა, რა ჰქვია ამას? ჩათლახობა? თუ კიდევ უფრო მეტი?**

ვაგრძელებ – როგორც ვიცი, რამდენიმე „დესანტნიკი“ უკვე შეხვდა ქართული გამოცემების ხელმძღვანელებს და ექსპერტებად წოდებულ ზოგიერთ პერსონას. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ეს ადამიანები ქართული გაზეთების, სააგენტოების გვერდებიდან და ტელეეკრანებიდან არ ჩამოდიან. მათ ჭკუას ეკითხებიან. რატომ? თუმცა, აქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი კითხვა უნდა დაისვას: რა ჩიპები გადასცეს რამდენიმე გამოცემის ხელმძღვანელს „დესანტნიკებმა“ და ვისზეა კომპრომატები ამ ჩიპებში – ქართველ პოლიტიკოსებზე თუ თავად მათ შეახსენეს წარსული? საქართველოში რომ უკვე რუსული იდეოლოგიის გამტარებელი ტელევიზიაც გვყავს და თანაც „ნაციონალური მაუწყებლის“ რანგით, ესეც ხომ თვალნათელია.

როგორც გავიგე ბათუმში ამ დღეებში ასლან აბაშიძის ძე – გიორგი ჩასულა. „ხელებს უკოცნიან მონები“, – ასეთი კომენტარი გააკეთა ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთმა ჩემმა ახლობელმა. ხელი კი არა ფეხიც შეიძლება დაუკოცნო ადამიანს, თუ ის შენთვის ღირებული და დასაფასებელია. მაგრამ ეს კოცნა-ხვევნა იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელი არ უნდა იყოს. არც იმას ვკითხულობ, რა უფლებით ჩავიდა გიორგი აბაშიძე ბათუმში. თავისი ქალაქია და რატომაც არა? მაგრამ კომენტარები – „გიორგიმ თქვა, ყველაფერი კარგად იქნებაო“ – რას ნიშნავს? რა ეიმედება რიგით ბათუმელსა თუ აჭარელს, რომელიც ასლანის ზეობისას მის მზეს იფიცებდა, აჭარის რევოლუციის შემდეგ – მიშასას, ბოლო წელიწადნახევარია, ბიძინას აღმერთებს და ახლა გიორგი აბაშიძეს უკოცნის ხელებს? მაპატიონ ჩემმა აჭარელმა მეგობრებმა, ვის გვერდითაც არაერთი ბრძოლა მომიგია, და ნუ იფიქრებენ, რომ ყველას ერთ ქვაბში ვხარშავ, მათ გადასარევად იციან, რა კატეგორიასაც ვგულისხმობ „მაფიცარებში“. გაგახსენებთ თქვენც და არა მხოლოდ თქვენ, რომ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები ყვარყვარეების რებრენდინგის.

აჭარას შევეშვათ და ზოგადად, იგივე სიმართლითა და გულწრფელობით მითქვამს ნაცებისა და „ოცნების“ არაერთი ლიდერისთვის მათ მიერ პოლიტჩათლახების მორიგი აღზევების დროს – ესენი გიტირებენ დედას!.. ისინი დარწმუნდნენ, ესენიც დარწმუნდებიან მალე.

ჰოდა ახლა „ოცნებას“ ვეუბნები, მისი შინაგან საქმეთა სამინისტროთი, დაზვერვითა თუ კონტრდაზვერვით, სუს-ითა თუ სხვა სტრუქტურებით დასრულებული – თქვენი პოლიტიკოსები და თავზე ხელგადასმული ტიპები რატომ ასე გამალებით ხვდებიან ბოლო დღეების განმავლობაში რუსეთის დესანტის წევრებს? თუ ვერ ხედავთ ამას? მე რომ ვიცი ისე, ხუთმა პარლამენტარმა- კოალიციის წევრმა თუ ე.წ. უფრაქციო დეპუტატმა რომ უკვე მოილხინა ამ დესანტის წევრებთან და პირობაც მისცეს თქვენს გვერდით ვართ ყველა საქმეშიო – თითქოს საქართველოს აღორძინების საქმეზე მსჯელობდნენ – ამის შესახებ არაფერი იცით?

არც იმის შესახებ იცით არაფერი, რომ საქართველოს ძალაძალსა თუ სოფლებში ამ დესანტმა უკვე დაახლოებით მილიონზე მეტი რომ დაარიგა ძეშად – თითძოს ისე, ახლოგლების დასახმარებლად? თუ არ იცით, რას ზიხართ მაგ სკამებზე? თუ იცით და არც არაფერს ამბობთ და აკეთებთ, მაშინ, ვინ ხართ თქვენ?

ალბათ საკმარისია ჩემი მხრიდან... დასკვნას მე არ გავაკეთებ – თქვენ გააკეთეთ. მე მხოლოდ გიჩვენეთ ორი კითხვა დაუსვათ საკუთარ თავს – არის თუ არა ეს „დესანტი“ რუსეთის ვერაგული გეგმის ნაწილი და რატომ ვერ ხედავს ამას ხელისუფლება...

გოჩა მირცხულავა,
ᲧᲝ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜᲝ

◎ SIC!

...თუ ხლაფორთი არ გინდოდა!

დუბლინში თავისუფლად ნასვლა უგულავას, შესაძლოა, პატიმრობად დაუჯდეს

თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებული მერი გიგი უგულავა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინიდან იტყობინებოდა, რომ საქართველოს პროკურატურამ მას, შესაძლოა, აღკვეთის ღონისძიება დაუმძიმოს და გირაოს სანაცვლოდ თავისუფლებაში ყოფნა პატიმრობით შეუცვალოს. უგულავას ეჭვის საფუძველი პროკურორ მალხაზ კაპანაძის მიერ შედგენილი ოქმი გახდა.

ოქმის თანახმად, ბრალდებული უგულავა 2014 წლის 6 მარტს 15:00 საათზე საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა, მან თბილისის აეროპორტის გავლით საქართველო წინა დღით დატოვა. ოქმში მოყვანილი პროკურორის განმარტების თანახმად, ადვოკატს გიგი უგულავას საგამოძიებო ნაწილში დაბარება 5 მარტს, 22:00 საათზე ეცნობა. ანუ იმ დროს, როდესაც უგულავას საქართველო დატოვებული ჰქონდა.

პროკურორი მალხაზ კაპანაძე განმარტავს, რომ გიგი უგულავა, გაფრთხილებული იყო, რომ გირაოს ღონისძიების გამოყენების პირობები არ უნდა დაერღვია, მაგრამ მაინც დატოვა საქართველოს ტერიტორია.

გიგი უგულავა „ფეისბუქში“ გამოქვეყნებულ წერილში წერს, რომ მიმალვას არ აპირებს და თუ გამოძიებას ქვეყნიდან მისი გაშვება არ სურდა, შეეძლოთ, საზღვრის გადაკვეთის საშუალება არ მიეცათ.

„მე დღეს ჩვეულებრივად დავბრუნდი საქართველოში, იმის მიუხედავად, აღკვეთის სახით პატიმრობას მოითხოვენ თუ გაციმბირებას“, – აღნიშნავს გიგი უგულავა და აღკვეთის ღონისძიების სავარაუდო შეცვლის საკითხის დღის წესრიგში დასმას პოლიტიკურ დევნას უკავშირებს.

გიგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების შესაძლო შეცვლასთან დაკავშირებით კომენტარზე უარს აცხადებენ მთავარ პროკურატურაში. უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ დოლიძემ for.ge-სთან მხოლოდ ის განმარტა, რომ პროკურატურას უგულავას გადაადგილებაზე რამე შეზღუდვა დაწესებული არ აქვს.

„ადრეც დატოვა მან ქვეყანა და მაშინ განვმარტეთ, რომ ქვეყნის დატოვების უფლება ჰქონდა. არანაირი შეზღუდვა პროკურატურისგან არ არის მის გადაადგილებასთან დაკავშირებით,“ – განაცხადა თემურ დოლიძემ.

უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე კი განმარტავს, რომ აღკვეთის არასაპატიმრო ღონისძიების ქვეშ მყოფ გიგი უგულავას, მოქმედი კანონით, აქვს ვალდებულება, საგამოძიებო ორგანოში პირველივე მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს.

„აღკვეთის ღონისძიება გახლავთ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება და როდესაც პიროვნება იმყოფება აღნიშნული იძულების ღონისძიების ქვეშ, ის ვალდებულია, გამოძიების მწარმოებელ ორგანოს აცნობოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაადგილების აუცილებლობისა თუ სურვილის შესახებ და უნდა დაელოდოს მისგან თანხმობას. თუ იგი არც აპირებს მსგავსი ამბის წერილობით შეტყობინებას, საერთოდ არ აინტერესებს გამოძიების პოზიცია ამასთან დაკავშირებით და თვითნებურად ტოვებს ქვეყნის ფარგლებს, ამ შემთხვევაში გამოძიებას უფლება აქვს, აღკვეთის ღონისძიების დამძიმების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს და სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არის თუ არა ასეთი ღონისძიების გამოყენების პირობები გასათვალისწინებელი“, – განუმარტა for.ge-ს დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, ბრალდებულ გიგი უგულავას, ან მის ადვოკატს პროკურატურისთვის ქვეყნის დატოვების შესახებ 5 მარტამდე, ანუ უგულავას მიერ ქვეყნის დატოვებამდე, ოფიციალურად, უნდა ეცნობებინათ.

„თუკი გამოძიებას არ მიუღია წერილობითი ინფორმაცია ქვეყნის დატოვების თაობაზე და, შესაბამისად, მოკლებული იყო საშუალებას, ეთქვა უარი ან დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნა, ბუნებრივია, შემდგომი მსგავსი მოქმედებების თავიდან აცილების მიზნით, პროკურატურას უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების დამძიმების თაობაზე, რათა უზრუნველყოს გამოძიების წინაშე არსებული ამოცანები – იმ შემთხვევაში, თუკი აღკვეთის გამოყენებული ღონისძიების მოთხოვნები დაირღვა“, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

for.ge გიგი უგულავას ადვოკატსაც დაუკავშირდა. ბექა ბასილაიამ ჩვენთან საუბრისას განმარტა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის აღკვეთის ღონისძიებას არ ელის და ამგვარი ვარაუდი მხოლოდ ოქმში ჩაწერილი ფრაზების გამო გაჩნდა. ადვოკატი ასევე აცხადებს, რომ მას და მისი დაცვის ქვეშ მყოფს ქვეყნის დატოვების თაობაზე პროკურატურისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ აქვთ.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ დაუმძიმებენ აღკვეთის ღონისძიებას, უბრალოდ, ვარაუდს გამოვთქვამთ. ჯერჯერობით არც შესულა ამგვარი შუამდგომლობა სასამართლოში. გიორგი უგულავა მიმალვას და საგამოძიებო ორგანოებში გამოუცხადებლობას არც აპირებდა. უბრალოდ, დუბლინში იყო ამ დროს და ფიზიკურად ვერ შეძლებდა მეორე დღეს თბილისში ყოფნას. ამიტომ გაფორმდა ოქმი და ჩაიწერა, რომ შესაძლოა, აღკვეთის ღონისძიება დამძიმდეს. ბრალდებულს არ აქვს ვალდებულება, ქვეყნის დატოვების შესახებ წინასწარ ოფიციალურად ეცნობებინა პროკურატურისთვის“, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

გიგი უგულავას წინააღმდეგ სასამართლო პროცესი 12 მარტისთვის არის ჩანიშნული. სავარაუდოდ, ამ დროს გაირკვევა, მიმართავს თუ არა პროკურატურა მოსამართლეს მისთვის აღკვეთის ღონისძიების დამძიმების შუამდგომლობით.

მადლენა მაჭარაშვილი

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ:

ᲙᲝᲟᲝᲠᲘᲫᲔ, ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ, ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ, ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ, ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ — ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ!

„ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲝ ᲣᲠᲔᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲢᲝᲕᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᭫ᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ“, — ᲐᲡᲔ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ. ᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐ᭫ᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, ᲘᲒᲘ „ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲡ“ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ:

— ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, ქართველი ხალხის მოლოდინი იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბოროტი საქმიანობა დამთავრდებოდა — არ გამართლდა. დღითი დღე იზრდება უკმაყოფილება არსებული ხელისუფლებისადმი, რომელმაც თავისი უნიათობით გააცოცხლა და გააჯეჯილა მკვლელები, სისხლის მსმელები, მძარცველნი და ყაჩაღნი. ის ფაქტები, რომელიც წარმოჩინდა ციხის კედრებით, შემდეგ უფრო შემზარავი ამბებით, რაც ჩვენმა საზოგადოებამ ვერ იხილა, მაგრამ ინფორმაციამ გამოჟონა, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მოღვაწეობა იყო სისტემური და მე ვიტყოდი, უფრო მაღლა მდგომი ფაშიზმი, ვიდრე ოდესმე კაცობრიობას უხილავს. ხალხი, რომელიც გამოდის და დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციას იცავს, ადამიანებად აღარ ირიცხებიან! მათ შეიძლება უწოდო ნახირი, რომელიც საძოვარზეა გასული, ვისთვისაც მთავარია, მხოლოდ საკვების მოპოვება და სხვა ცნობიერება! მე არასოდეს მითქვამს ქართველი ხალხის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები, მაგრამ დღეს ვრწმუნდები, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტელევიზიებისა თუ სხვა რამის მეშვეობით, არიან ტვინგამორეცხილნი! მეტიც: არასამთავრობო ორგანიზაციების, უმეტესობა არიან არა გავლენის აგენტები, რომლებზეც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს იდეოლოგიური მანქანა და საინფორმაციო საშუალებები, არამედ არიან პირდაპირ აგენტები, რომლებიც ფინანსდებიან დასავლეთიდან და რომელთა მთავარი მიზანია, დაფინანსება როგორმე გაიხანგრძლივონ! დიახ, ისინი ებრძვიან ქართულ ცნობიერებას და ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ გამოდიან. ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე დიდი და საშიში მტერი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა, ვიღაც კოჟორიძე ხელმძღვანელობს, რომელიც დაფუძნებულია სოროსის ფონდის მიერ! გვარებსაც გეტყვით: ეკა გიგაური რომ არის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოდან“ და ნინო ლომჯარია კიდევ — „სამართლიანი არჩევნებიდან“, ეს არის „ბუკეტი“ არასამთავრობო საზოგადოებისა, რომლებიც ყოველგვარი რიდის გარეშე, პირდაპირ ებრძვიან ეროვნებას, ქართულ ზნეობასა და ტრადიციებს! თითქოს ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანები არიან, მსოფლიო მერცხლები, რომლებსაც დემოკრატიის გაზაფხულის დადგომა უნდათ და ამისთვის ჭიკჭიკებენ.. არადა, ყვავები და ყვანჩალები არიან, რომლებიც დასჩხავიან ქართველ ერს და სასიკვდილოდ იმეტებენ!

— იურისტთა ასოციაციის შემქმნელები დღეს სახელისუფლებო ეშელონებში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებენ...

— ჯერ ერთი, ცოლ-ქმრის, უსუფაშვილ-ხიდაშელის მიერ არაერთგზისაა გაცხადებული — ჩვენ გვეამაყება, რომ ამ ორგანიზაციის თანადამფუძნებლები თუ არა, აქტიური წევრები ვიყავითო. „რესპუბლიკური პარტიის“ გუნდი, რომლებიც ხელისუფლების ძალიან მაღალ ეშელონებში მოკალათდა და წარმართავენ ქართულ პოლიტიკას, არის დიდი უბედურება. „რესპუბლიკელების“ მიზანია, შექმნან ფენომენი ადამიანისა, რომელიც საერთოდ დაცლილი იქნება ყოველგვარი ეროვნული ცნობიერებისაგან, სიყვარულისაგან, უფლის რწმენისაგან... ზოგადად, ეს იქნება კოსმოპოლიტი ადამიანი... გიმეორებთ: კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარია, უსუფაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილები — ებრძვიან ქართველ ერს!

მაღიზიანებს, როდესაც ძმები ბერძენიშვილები და მათი თანამოაზრეები გამოდიან და ირონიით ლაპარაკობენ არასაპარლამენტო ოპოზიციაზე. მათი პარტიის საწყისი პერიოდი ყველასათვის ცნობილია — როგორ დაასმინა ლეონ ბერძენიშვილმა თავისი თანაპარტიელები, ძმაც კი გაიმეტა საციხედ! მერე გამოვიდნენ, თითქოს დისიდენტები და დევნილები იყვნენ. ფაქტებით ვიცი, როგორ ცდილობდა ციხიდან ახლად გათავისუფლებული ძმები ბერძენიშვილების სამსახურში მოწყობას ცეკას იდეოლოგიური მდივანი გურამ ენუქიძე. რომ ვკითხე, მერაბ კოსტავას მასწავლებლობა აუკრძალეთ და ამათი გულისთვის რატომ იკლავთ-მეთქი თავს, არ დამიმალა და მითხრა — ზემოდან არის დავალებაო... აი, ეს ხალხი დღეს ჩვენ დაგვცინის და უკვე ისე გაკადნიერდნენ, ზემოდან უყურებენ ქართველ ხალხს. ეს არის ჩვენი ქვეყნის დიდი უბედურება. ბატონ ბიძინა ივანიშვილს დღემდე დიდ პატივს ვცემ, მას ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული და, საერთოდაც, მისი დამსახურებაა, რომ ჭირი მოვიშორეთ მიხეილ სააკაშვილის სახით, მაგრამ მეორე ჭირი მოიყვანა, რომელიც უარესია, ვიდრე სააკაშვილი!

— პირობისამებრ, ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში გადავიდა, არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს სწორედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩასაძირად გაკეთდა, რომელზეც ზემოთ ვიესაუბრეთ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაციას გამართლება მაშინ ექნება, თუ ის იქნება ქართულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, დაიცავს ქართველი ხალხის ინტერესებს. თუ ისეთივე პოზიციაზე დადგება, როგორზედაც ესენი დგანან, მაშინ ქვეყანა დაღუპულია, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი დღეს კიდევ არსებობს, განსხვავებით „ოცნებისაგან“, რომლის ავტორიტეტი დღითი დღე მცირდება. ამის საანაცვლოდ კი, დღითი დღე იზრდება ნაძირალა „ნაციონალების“ ავტორიტეტი. ესეც, რა თქმა უნდა, „ოცნების“ დამსახურებაა და მათი უნიათო, გაუბედავი ნაბიჯებისა... სხვათა შორის, „რესპუბლიკელები“ ყოველთვის აცხადებდნენ, რომ მათი უმთავრესი მიზანი „ნაციონალების“ გადარჩენაა...

მე ვარ ადამიანი, რომელსაც არასოდეს არავისთვის მიჩივლია და, საერთოდ, მეცნიერი და მწერალი კაცი არ უნდა ფიქრობდეს ადამიანთა დაჭერაზე, ეს არ უნდა უხაროდეს, მაგრამ დღეს ისე ვარ გაღიზიანებული, მათი დაჭერა კი არა, ფიზიკური განადგურებაც არ მეწყინება! მერაბიშვილს გამოუტანეს განაჩენი, მაგრამ შეკრებითობის პრინციპი არ არსებობს და 5 წელი აქვს მისჯილი კაცს, რომელიც არის ჩამოყალიბებული მკვლელი! ასევეა მისი სულიერი მოძღვარი მიხეილ სააკაშვილი! თავის დროზე სააკაშვილს კალიგულას ვადარებდი, რომელიც თავისი ფსიქიკით ოცდაერთ პუნქტში ემთხვევა მის ქცევებს. დარწმუნებული ვარ, ხალხს რომ აწამებდნენ და კადრებს იღებდნენ, შემდეგ ს

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ, ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ, ᲪᲧᲣᲘᲚᲘ ᲓᲐ...

FACTCHECK.GE ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲥᲕᲔᲣᲧᲜᲔᲑᲡ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ“ (GRASS) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, FactCheck.ge ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲘᲡ ᲗᲣ ᲣᲖᲣᲡᲢᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲥᲕᲔᲣᲧᲜᲔᲑᲡ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲛᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ, 3 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ 10 ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ. ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲡ“ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ“ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲡ, �გᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲐᲓ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲐ, ᲝᲠᲘ — ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲪᲧᲣᲘᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ „Transparency International“ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, 7 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲐᲖᲔ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ“.

ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲛᲐ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲡ. ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲡᲐᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲑᲘᲓᲐᲜ 5149 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲐ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ 7 ᲐᲗᲐᲡᲘᲡᲐ. ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲠᲐᲖᲣᲡᲢᲘᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ. ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓᲐᲪ, ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, რᲝᲛ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, რᲝᲛ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ.

„ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲛᲐ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲐ, რᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲙᲜᲙᲣᲠᲡᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲚᲝᲚᲓ 4% ᲨᲔᲘᲠᲩᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ „ᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲑᲐ“ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ „ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲖᲔ.

ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲙᲕᲜᲐ, რᲝᲛ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲐᲓ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲐ“, — ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲛᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲖᲣᲠᲑᲐᲑ ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲝᲬᲛᲐ, სᲐᲓᲐᲪ ᲓᲔᲪᲣᲢᲐᲢᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, რᲝᲛ 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲨᲞ-ᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲐ.

„2013 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, რᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐ 2009 ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲐ 2013 ᲬᲔᲚᲡᲐᲪ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲥ ᲒᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, რᲝᲛ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲚᲡ. ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ, 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ (3.5 %) ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ �წᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ (2008 ᲓᲐ 2009, ᲐᲜᲣ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ) ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲡ.

ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, რᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡ 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ იმᲐᲖᲔ, რᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ. ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲥᲪᲔᲕᲐᲡ ᲛᲨᲞ-ᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ, თᲣᲛᲪᲐ, ᲗᲐᲕᲐᲓᲕᲔ ᲐᲠ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲐᲡ, რᲝᲛ ᲛᲨᲞ-Ს ᲖᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲚᲡ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲛᲐ ᲖᲣᲠᲑᲐᲑ ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲐᲡ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ.

ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ-ᲡᲐᲑᲘᲯᲔᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲝᲜᲝᲤᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲪ.**

„ᲝᲜᲝᲤᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, „ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ 3%-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲑᲝᲚᲝ ᲗᲕᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲖᲔ �გᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ: ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲘᲡ 4%-ᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ, ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 8%-ᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ — 8%-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ 5 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲖᲠᲓᲘᲓᲐ ᲞᲔᲜᲡᲘᲔᲑᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 10-12% ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲭᲛᲔᲑᲝᲓᲐ“.

ᲤᲐᲥᲢ-ᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲐ, რᲝᲛ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲨᲞ-Ს ᲖᲠᲓᲐᲛ 4.3% ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ; ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ — 8%, ᲓᲔ�კᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ (ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ) — 8.4%. ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲛᲨᲞ-Ს ᲖᲠᲓᲐᲛ 6.9% ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ, ᲮᲝᲚᲝ 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲚᲘᲣᲠᲛᲐ ᲛᲨᲞ-Ს ᲖᲠᲓᲐᲛ — 3.1%. 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ — 6.9%, რᲝᲒᲝᲠᲪ 2013 ᲬᲚᲘ

◎ ენერგოშემცველთა ბაზარი

ჩვენთან - ორჯერ უფრო ძვირად...

იმდენი იძახეს ეროვნული ინტერესების დამცველმა პოლიტიკოსებმა, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, უწინარესად, რუსეთის ენერგოშემცველებისგან სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოსო, რომ მეორე უკიდურესობაში ჩავვარდით და ახლა ნავთობპროდუქტებითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების თვალსაზრისით ქართულ ბაზარზე თითქმის უპირობო ბატონი აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „სოკარია“.

როგორც ეკონომიკის ექსპერტები ვარაუდობენ, კონკურენციის სააგენტო, ანუ ანტიმონოპოლიური სამსახური საქართველოში მაისიდან ამოქმედდება, მანამდე კი ქვეყნის ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის, ფაქტობრივად, სრული მონოპოლისტია „სოკარი“. ბევრისთვის იქნებ შეუმჩნეველია, მაგრამ რეალობა კი ისეთია, რომ აზერბაიჯანული კომპანია ელექტროენერგიის ბაზარზეც ძალუმად შემოდის. საქმე ისაა, რომ ელექტროენერგიის მისაღებად ქვეყანაში ჰიდრორესურსების გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები იქმნება, გავიხსენოთ, თუნდაც, ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ამბები, ხოლო აზერბაიჯანულ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების პროექტები უპრობლემოდ ხორციელდება (მათ შორის, ახლო მომავალში ერთ-ერთი უდიდესი თბოელექტროსადგური გარდაბანში აშენდება).

საქართველოში დიზელის ბაზარს „სოკარი“ სრულად აკონტროლებს, ბენზინის ბაზარზე მისი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამდენად გასაკვირი სულაც არ არის, რომ ფასები, რომლებითაც მომხმარებელი ძალიან უკმაყოფილოა, რეალურს რამდენჯერმე აღემატება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ — „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან ყველანი საწვავზე ფასების დაკლებას ელოდნენ, რაც იყო კიდეც ამ პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო დაპირება, მაგრამ მონოპოლისტ „სოკართან“ ვერაფერი გააწყო. მეტიც: ჯერ კიდევ იანვრის მიწურულს „სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა მაირ მამედოვმა განაცხადა, რომ კომპანიამ საქართველოში ბენზინის ექსპორტი, შესაძლოა, შეწყვიტოს. შარშან წლის მიწურულს კი „სოკარმა“ დიზელის საწვავზე ფასები სულაც გაზარდა და კიდევ უფრო შორსაც წავიდა, როცა საქართველოში იაფიანი თურქმენული ბენზინის შემოტანას ხელი შეუშალა.

რაც შეეხება ბუნებრივ გაზს, აქ „სოკარის“ პოზიცია კიდევ უფრო მეტად ურყევია: დედაქალაქის გამოკლებით, სადაც მდგომარეობას „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ფლობს, დანარჩენ საქართველოს იგი სრულად აკონტროლებს, რადგან მომარაგების ყველა კომპონენტი — იმპორტიც, გატარებაც და მიწოდებაც მის ხელშია. აქედან გამომდინარე, როგორც ეს ნებისმიერ ბაზარზე ექსკლუზიური მონოპოლისტის არსებობის შემთხვევაში ხდება ხოლმე, მომხმარებელი, ფაქტობრივად, „სოკარის“ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რასაც კიდევ ის გარემოება ამძაფრებს, რომ საქართველოში სახელმწიფო რეგულაციები, არსებითად, არარსებობს და „აღლუმის“ წამყვანი კომპანიის თვითნებობის წინაშე ყველანი უძლურნი ვართ. ამდენად, ვფიქრობთ, შეუძლებელია, გადაჭარბებულად შევაფასოთ არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ბიზნეს-პალატის“ ინიციატივა ქვეყანაში მომხმარებელთა — როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირთა — უფლებების დაცვა, ხოლო ენერგეტიკულ კომპანიებს (ეს როგორც ელექტროენერგიის, ასევე გაზის მიმწოდებლებს ეხება) ორმხრივ ხელშეკრულებათა გაფორმება მოსთხოვოს. ამ ხელშეკრულებებში მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რომელი სახეობის ენერგოშემცველი რა ხარისხისა უნდა იყოს, როგორი უნდა იყოს მისი ცალკეული პარამეტრი და რა ფასი უნდა ჰქონდეს.

საქმე, კერძოდ, ისაა, რომ **მაშინ, როცა იგივე გაზი მომხმარებელს დაბალი წნევით მიეწოდება, მრიცხველზე რეალურად მოხმარებულზე უფრო მეტი იწერება, შესაბამისად, იგი მეტს (ზოგჯერ საკმაოდ ბევრსაც!) იხდის. ასეთივე მდგომარეობაა გაზის ქიმიური შედგენილობის, კერძოდ, მეთანისა და პროპანის თანაფარდობის ცვლილების დროსაც — მრიცხველი ამ დროსაც არასწორ, მომატებულ მაჩვენებელს წერს, რაც, ბუნებრივია, ხელს მხოლოდ ენერგოშემცველის მიმწოდებელ კომპანიას აძლევს, რომელიც ამით დამატებით შემოსავალს იღებს.** ლაპარაკი კი, ამ შემთხვევაში, მილიონებზე მიდის... აღნიშნულ საკითხში სიცხადის შეტანა ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პოზიციაზე, რომელიც ეს-ესაა „ქუთაისური ვოიაჟიდან“ კვლავ დედაქალაქში დაბრუნდა.

ბუნებრივია, რომ მომხმარებლისთვის უმნიშვნელოვანესი პარამეტრია ენერგოშემცველის, კერძოდ, იმავე ბუნებრივი გაზის ფასი, რომლის ირგვლივ ყოველ ჯერზე ატეხილი აჟიოტაჟი და მაღალი ტრიბუნებიდან ტარიფის შემცირებაზე ლაპარაკი მუდამ ჰაერის ტყუილად რხევით მთავრდება ხოლმე, პრაქტიკულად, გადადგმული ქმედითი ნაბიჯი კი, არსებითად, არავის უნახავს. აზერბაიჯანის, როგორც ენერგოშემცველის მომწოდებლის, საქართველოს კი, როგორც სატრანზიტო ქვეყანას შორის ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული შეთანხმების დეტალები დღესდღეობითაც უცნობია, რაც, ცხადია, ისევ მიმწოდებლისთვისაა ხელსაყრელი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ციფრი, მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ მაინც ცნობილია. თუმცა კი, რამდენად სანდოა ისინი, ძნელი სათქმელია. კერძოდ, არის ცნობები იმის შესახებ, რომ **აზერბაიჯანული „სოკარი“ საქართველოში თავის შვილეულ „სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას“ ათას კუბურ მეტრ გაზს 185 დოლარად აწვდის, ეს უკანასკნელი კი მას მოსახლეობას უკვე 325 დოლარად მიჰყიდის.** მიუხედავად იმისა, რომ ეს ფასი ევროპის ქვეყნებში მის ფასზე გაცილებით ნაკლებია, 140-დოლარიანი, თითქმის ორჯერადი განსხვავება, დაგვეთანხმებით, ძალიან დიდია.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სავსებით გასაგებია, რომ საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის, მაშასადამე, ერთიანად ეკონომიკის „სოკარის“ დიქტატისგან დაცვა ქვეყნის მთავრობის პრინციპულ პოზიციაზე, აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან შემდგომ ურთიერთობებზე იქნება დამოკიდებული, რა დროსაც მთავარი საქართველოს მომხმარებელთა ინტერესთა დაცვა უნდა იყოს. ამ მხრივ, ბუნებრივია, შეუდარებლად უფრო იზრდება ჰიდრორესურსების გამოყენებით იაფი ელექტროენერგიის მიღების მნიშვნელობა, თუმცა კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს საკითხი საქართველოში გარკვეული პრობლემის გადაჭრასთანაა დაკავშირებული.

მანამდე კი, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუკი მოძმე რესპუბლიკისა და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ხელისუფალნი თავადაც დაფიქრდებიან იმაზე, თუ რამდენად ჯდება „მეგობრობის“ ჩარჩოში მეზობელ ქვეყანაში ენერგოშემცველების ორჯერ და მეტად ძვირად გაყიდვა, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში?

ოთარ ტურაბელიძე

◎ იურიდიული კონსულტაცია

ინფორმაცია თქვენი თხოვნით

კითხვა: ერთ თვეში მიწევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა. მაქვს მხოლოდ 4 თვის შრომის სტაჟი. მომეცემა თუ არა ფასიანი და უხელფასო დეკრეტული შვებულება, რამდენი დღის ხანგრძლივობით განისაზღვრება იგი და როგორი წესით მოხდება მისი გამოანგარიშება?

ნაირა კობეშავიძე.

პასუხი: შვებულება ორსულობის მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შრომის სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად, 2014 წლის 1 იანვრიდან კანონში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, 477 დღის ნაცვლად, 730 კალენდარული დღის ხანგრძლივობით მოგეცემათ, საიდანაც ანაზღაურებადი იქნება 183 კალენდარული დღე (ტყუპების შეძენის ან მშობიარობის გართულების შემთხვევაში კი, 200 კალენდარული დღე).

რაც შეეხება ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით გასაცემ დახმარებას ხელფასის რაოდენობის გათვალიწინებით, განგესაზღვრებათ არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

კითხვა: გასული წლის დეკემბერში სამუშაოდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების გამო; დღემდე საბოლოო ანგარიში არ გაუსწორებიათ. მეკუთვნის დამატებით ერთი თვის ხელფასი?

ლევან ნაფეტვარიძე.

პასუხი: დიახ, გეკუთვით: ვინაიდან შტატების შემცირების დროს, დასაქმებულისათვის შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი
ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.

ითვლება, დასაქმებულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს (რომელიც სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან არაუგვიანეს 7 დღეში უნდა მოხდეს), დამატებით არანაკლებ ერთი თვის ხელფასი აუცილებლად უნდა მიეცეს (საფუძველი საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე, არ ვარ საჯარო მოსამსახურე. გთხოვთ მაცნობოთ, კანონის თანახმად, შემიძლია თუ არა ვიმუშაო შეთავსებით?

ლალი მორგოშია

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

კითხვა: ვარ 28 წლის, ვმუშაობ დაქირავებით. დამსაქმებელი ერთსა და იმავე პირობებზე გვიფორმებს რამდენიმე ხელშეკრულებას. გთხოვთ, მაცნობოთ, ასეთ შემთხვევაში რომელ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა?

ნათელა მოისწრაფიშვილი

პასუხი: კანონის თანახმად, დამსაქმებელთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

◎ ალიან-ჩალიანი

გზის მშენებლობა იწყება

პარლამენტის ვიცე-სპიკერი, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური, ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი და რუსთავის მერი დავით ჯიქია რუსთავი-მარნეულის დამაკავშირებელ გზაზე მიმდინარე სამუშაოებს „საქგზამეცნიერების“ წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნენ.

რუსთავი-მარნეულის დამაკავშირებელი უმოკლესი გზის რეაბილიტაცია უმოკლეს დროში დაიწყება და წელსვე დასრულდება. სამუშაოებისათვის საჭირო თანხას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოყოფს. აღნიშნული გზის მონაკვეთზე დღეს აზომვითი და საპროექტო სამუშაოები დასრულდა. გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციას რეგიონისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

„მეურვეთა“ კონკურსი გრძელდება

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა, მათ შორის მათაც, ვინც წინა კონკურსში მონაწილეობდა, განცხადებები უნდა წარადგინონ პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სახელზე არა უგვიანეს 26 მარტის 18:00 საათისა. დამატებითი ინფორმაციის მიღება კი შესაძლებელია პარლამენტის ვებ-გვერდიდან.

ამასთან, დავით უსუფაშვილი პარლამენტს დასამტკიცებლად იმავე შემადგენლობის საკონკურსო კომისიას წარუდგენს, რომელიც წინა კონკურსის დროს შეარჩია და პარლამენტს წარუდგინა მეურვეობის კანდიდატები.

„დელტა“ ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის

შესაბამისი ცვლილება მთავრობის გადაწყვეტილებით ორივე სამინისტროს დებულებაში უკვე შევიდა.

„დელტასთან“ ერთად, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი; ინსტიტუტი „ოპტიკა“; გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი და მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი“.

ინტერპრესი

◎ პარლამენტი



„ნაცების“ ბავშვური სიჯიუტე — კაბინეტებში არ შევალთ!

ბევრ გაუთვლელ გრანდიოზულ პროექტთა შორის ეკონომისტები, სპეციალისტები, ექსპერტები ერთ-ერთს ქუთაისში პარლამენტის გადატანას მიიჩნევენ. ისტორიკოსი ლევან აბდუშელიშვილი ცდილობს ყოფილი პრეზიდენტის („მაღალის“) ეს ახირება ვახტანგ გორგასლისა და პეტრე დიდის სურვილების აღსრულებას შეადაროს. მათ ხომ კვერთხის ერთი დაკვრით თქვეს — აქ აშენდება ქალაქი (იგულისხმება თბილისი, პეტერბურგი). ჩვენმა მაღალმაც დაჰკრა კვერთხი ქუთაისში და თქვა — აქ აშენდება პარლამენტი. მისმა ჯიბის პარლამენტმა და ყურმოჭრილმა მთავრობამ უსიტყვოდ აიტაცეს უგვირგვინო მეფის ნაბრძანები. თუმცა, არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია, სიტყვა დაეძრა იმ ეკონომიკურ უკუჩვენებებზე, რაც ქუთაისის საპარლამენტო დედაქალაქად გადაქცევას შეიძლება მოჰყოლოდა. პარლამენტარები და მთავრობის წევრები „მაღალის“ შიშით ამ საკითხის გულში გავლებასაც ვერ ბედავდნენ.

და აღსრულდა მბრძანებლის გეგმა. პარლამენტი აშენდა, რაც ქვეყნის ბიუჯეტს 350 მლნ ლარი დაუჯდა. სააკაშვილმა ისე გახსნა შენობა, რომ ის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. თუმცა, პრეზიდენტი ამგვარ რამეებს შეჩვეული იყო. ვინ მოთვლის, რამდენი დაუმთავრებელი ქარხანა, საავადმყოფო თუ სხვა ობიექტები გაუხსნია საკუთარი პიარისთვის. მაგრამ თვლა დაიწყეს ეკონომისტებმა. მათი უხეში გაანგარიშებით პარლამენტის ქუთაისში წასვლა (საწვავი), იქ მთელი წლით ბინების დაქირავება, სამივლინებო ანაზღაურება, კვება (ხალხის რჩეულნი კერძებს სახლებში ხომ არ მოამზადებენ, ძვირადღირებულ რესტორნებში უნდა შევიდნენ), მთავრობის წევრების საპარლამენტო სესიებსა თუ საკომისიო მოსმენებზე ჩასვლა-ჩამოსვლა და სხვა წვრილი თუ მსხვილი ხარჯები, უბრალო გადამხდელთ 500-600 მლნ-მდე ლარი უჯდებათ.

ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბიუჯეტის ხარჯების ეს ნაწილი მოუხსნას და პარლამენტი ისევ თბილისში დააბრუნოს. მაგრამ „ნაცებმა“ მოასწრეს და პარლამენტის ყოფილი შენობა ნაწილობრივ დაანგრიეს, რაც დაუნგრეველი დარჩათ, მთლიანად გააპარტახეს. ამასთან ერთად, მყარად დაიწყეს თავიანთი მიმტოვებლის, მიშა სააკაშვილის დანაბარების დაცვა — **არც ერთი ნაბიჯი უკან, პარლამენტი ქუთაისში დარჩება!** ეკონომისტ **გიორგი ლაშხის** გადმოცემით, პარლამენტის თბილისის შენობის აღდგენა ბევრად უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე წლიურად იხარჯება პარლამენტარებისა და მთავრობის წევრების ვოიაჟებზე აქეთ-იქით, მათ დანაყრებაზე და სხვადასხვა საჭიროებებზე.

„ნაცები“ თავიანთ გაკერპებას იმით ხსნიან, რომ პარლამენტის ქუთაისში ყოფნა ხელს შეუწყობს როგორც ქალაქის, ასევე რეგიონის გამოცოცხლებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას. რიგითი ქუთაისელების აზრით კი, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მათ ქალაქში გადატანამ ვერაფერი დაატყო მას. გარდა კეთილმოწყობილი ბინების ზოგიერთი მფლობელისა (გაქირავების თვალსაზრისით), დეპუტატების თვალდადგმული რესტორნებისა და, რაც მთავარია, დასაქმების კუთხით, რადგანაც პარლამენტში სპეციალისტთა უმეტესობა თბილისიდანაა ჩამოყვანილი და მათთვის საცხოვრისის ქირაობა, კვება, სამივლინებო ხარჯები მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტს დააწვა.

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ რამოდენიმეჯერ სცადა საპარლამენტო უმცირესობის დაყოლიება, რათა კონსტიტუციაში შეეტანათ ცვლილება და თუნდაც ის ცვლილება შეეტანათ, რომ ორივე (ქუთაისიცა და თბილისიც) გამხდარიყვნენ საპარლამენტო ქალაქები. მაგრამ ჯიუტი უმცირესობისგან ყოველთვის იყო უარყოფითი პასუხი. კანონში რომ ცვლილება შევიდეს, საჭიროა კონსტიტუციური უმრავლესობა, რასაც, „ოცნება“ ჯერჯერობით ვერ აგროვებს, მიუხედავად ამისა, მთავრობამ, იმის იმედით, რომ სააკაშვილის გადმონაშთები ადრე თუ გვიან მოვლენ გონს და ქვეყნის ეკონომიკისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებენ, დაიწყო თბილისის პარლამენტის შენობის აღდგენა. სამუშაოები უკვე იმ დონემდეა მიყვანილი, რომ სადღაც თვე-ნახევარში შესაძლებელი იქნება თბილისის საპარლამენტო შენობაში საკომიტეტო სხდომების ჩატარება. ეს მნიშვნელოვანი დანაზოგი იქნება ქვეყნის სალაროსათვის. მინისტრები, სხვა თანამდებობის პირები აღარ დახარჯავენ ქუთაისში ჩასვლისათვის, მივლინებისათვის სახელმწიფო სახსრებს, არ დაკარგავენ დროს (მოსმენებზე ჩასვლა-ჩამოსვლაში მთელი დღე იკარგება — **რედ.**), რაც მთავარია, არასამთავრობოებს, მასმედიის საშუალებებს აღარ დასჭირდებათ დიდი მანძილის გავლა და საკუთარი თანხების ხარჯვა, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებებზე დასწრება, პარლამენტართა კომენტარების მიღება და ა. შ. მათი ცენტრალური ოფისების აბსოლუტური უმრავლესობა ხომ თბილისშია.

კომიტეტების სხდომების თბილისის პარლამენტის აღდგენილ შენობაში მოსალოდნელი გამართვების გადაწყვეტილება უმალ გააპროტესტეს, მუდამ ყველაფრით უკმაყოფილო უმცირესობის წევრებმა. მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს მათთან არ უსაუბრია და საერთოდ კომიტეტების სხდომების თბილისში გამართვაზე პარლამენტში არ უმსჯელიათ.

მაჭავარიანი ყველასათვის ცნობილ (ნაცების მხრიდან) კითხვას სვამს — არ მესმის, ვერ მუშაობს ქუთაისში პარლამენტი? შენობა და პირობები არ არის? რაიმე შეფერხება ყოფილა? რა ახირებაა ახლა ეს — ალბათ, თავის თავს უსვამს კითხვას „ნაცების“ მუდმივი წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში.

იგი თავის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა „ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდზე, პირობას დებს, ღამის „დედას იფიცება“, რომ რუსთაველის №8-ში (არ ახსენებს როგორც თბილისის პარლამენტის შენობას), კომიტეტების სხდომებში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ თავად და მისი მეგობრები გამოყოფილ კაბინეტებში არ შევლენ.

მაჭავარიანი სვამს კითხვას, რად უნდა პარლამენტის წევრს ორ ქალაქში ორი კაბინეტი, რა საჭიროა ამგვარი ფუფუნება? იგი მოულოდნელად საკმაოდ ძვირადღირებულ და ხალხის ფულით აშენებულ პრეზიდენტყოფილის ავლაბრის რეზიდენციის საკითხსაც გადასწვდა და თქვა, რომ მათი მხრიდან პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისათვის შეთავაზება, შევიდეს სასახლეში იმით არის განპირობებული, რომ ის ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს.

სხვათა შორის, პარლამენტში მარგველაშვილისათვის ეს შეთავაზება ყოფილმა სპიკერმა დავით ბაქრაძემ გააჟღერა, რასაც დავით უსუფაშვილის რეპლიკაც მოჰყვა, რომ უმრავლესობა დაითანხმებდა პრეზიდენტს ამ შეთავაზებაზე, თუკი იქნებოდა ნაციონალებისგან მზაობა კანონში ცვლილებების შეტანა — პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადატანის თაობაზე. ამ წინადადებას მაშინ უმცირესობამ დუმილით უპასუხა: სააგენტოს კი რიხიანად განუცხადა, **პარლამენტი ქუთაისში დარჩება, გადაწყვეტილება უცვლელია, ამ თემაზე ჩვენ არ ვვაჭრობთ!**

მაჭავარიანი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ საკითხებსაც შეეხო — თუ სააკაშვილის აშენებული სასახლე არ უნდათ, მაშინ ნუ დადიან მისი აშენებული გზებით, ნუ შედიან შსს-ს შენობაში, იუსტიციის სამინისტროში, სასამართლოებში, პოლიციის შენობებში, საავადმყოფოებში და ასე შემდეგ. ყველაფერი სააკაშვილის აშენებულია — ასკვნის ნაცების მუდმივი სახე პარლამენტში.

ფსიქოლოგი **ნინო შერეზადაშვილი** ამ განცხადებას აღიქვამს მისთვის მიყენებული მძიმე სტრესის გამოძახილად. ამ ხალხს ღრმად სწამდა, რომ ხელისუფლებაში 20-25 წლით იყვნენ მისულები. ოპონირების არარსებობის პირობებში ჩამოუყალიბდათ ფსიქოლოგია, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაში გაკეთდა და კეთდება მათი და, უპირველეს ყოვლისა, ლიდერის სააკაშვილის დამსახურებაა. ყალიბდებოდა მრწამსი, რომ, რადგან მათი გაკეთებულია, ე. ი. მათივე საკუთრებაა. მაგრამ, როდესაც მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ, უჭირთ შესისხლხორცებულისაგან განდგომა.

პოლიტოლოგები და ეკონომისტები ყოფილ ვიცე-სპიკერსა და მისი გუნდის წევრებს შეახსენებენ, რომ, რაც გაკეთებულია, ხალხის ფულითაა შექმნილი. უფრო მეტის მოსწრებაც შეეძლოთ, თანხები ტაშ-ფანდურსა და მრავალრიცხოვანი შემადგენლობებით საზღვარგარეთულ ტურებში არ ეხარჯათ და არ ყოლოდათ ბიუჯეტჭამია მაღალი და საშუალო რანგის ჩინოვნიკები.

„ინტერპრესნიუსთან“ მაჭავარიანი იქადნება, რომ იგი და მისი გუნდი „ოცნებას“, უმრავლესობას სიცოცხლეს გაუმწარებენ და არ მისცემენ საშუალებას, კომიტეტის სხდომებზე მარტონი დარჩნენ, როგორი გადაწყვეტილებებიც უნდათ, იმგვარი მიიღონ. ჩვენ იქ (იგულისხმება თბილისის პარლამენტის შენობა) სხდომებს აუცილებლად დავესწრებით, მაგრამ კაბინეტები არ გვექნება — უკვე მერამდენედ ხაზს უსვამს კაბინეტების საკითხს პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი.

ზაზა ბილიხოძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **მე ისეთი რაღაცები ვიცი ნაცებზე, ოცნებაზე და ყველაზე, მაგრამ ახლა არ ვიტყვი. თავის დროზე ყველას ვამხელ!**

აი, ეგ „თავის დრო“ როდის იქნება, მაგასაც თავის დროზე ვიტყვი!

● **ერთხელ მაინც მანდეთ — მონიკა ბელუჩი!**

● **ლომჯარია-გიგაურს, ვილაც ყმაწვილითურთ, რაღაც ახალი კომპანია წამოუწყიათ. ამ ამბავს მოგვიანებით შევუერთდი და იმასღა შევესწარი, ლომჯარია რომ ამბობდა — მალე ამ კომპანიას, არასამთავრობო სექტორის ასზე მეტი (!) ორგანიზაცია შემოუერთდებაო. არ ვიცი, რაზე იყო საუბარი, მაგრამ რაზეც უნდა ყოფილიყო, წარმოგიდგენიათ რამდენი უსაქმური ჭკუისდამრიგებელი გვყავს?!**

● **ყველას ყველაზე მეტად მობეზრებული რო გაქვთ და გაქცევაზე და სხვაგან ცხოვრების დაწყებაზე რო ხართ, საქართველოში ჯობია უფულოდ იყოთ და სხვისი ჭორაობა გაღიზიანებდეთ, ვიდრე საზღვარგარეთ ფული გქონდეთ, ნაკლებად ჭორაობდნენ თქვენზე და ბედნიერები არ იყოთ! შენ ძმაკაცებთან, მეგობრებთან და შენი დიდი ოჯახის წევრებთან თუ არ გაიარე ახალგაზრდობის წლები და თუ ბოლო 20 ლარი არ დახარჯე შენ ძმაკაცებთან ერთად პივაში, როცა ხვალ არ იცი რა გედება ჯიბეში, რა აზრი აქვს ეგეთი ფულის კეთებას და დროის კარგვას საზღვარგარეთ?! ჩემი შვილი ქართველი უნდა იყოს და არა გათამამებული ფრანგი ბავშვი თავისი სურვილების ასრულებით! უნდა ნახოს გაჭირვება რო კაცობა არ ეშლებოდეს და მე ვხვდები, რო მე მარტო ვერ ვასწავლი მაგ ყველაფერს!**

● **არადა, ის მის საქართველოც, ზოგზოგიერთი კოალიციისა არ იყოს, ვილაცის ოცნება იყო.**

● **ხრუშჩოვკებიდან შიხიაშვილკებამდე.**

● **ესე იგი, პახმელიაზე ქართველი მომღერლები იმედზე რო გუგუნებენ, მისწრებაა რაა იმ ანეკდოტივით: „მაროოო, გაიხადე შე შობელძაღლო, პახმელიაზე ვაარო“.**

● **დიმიტროვი და ეშტონი ლაივში გვიყურებენ და ამათ „მაპზე უკეთესიო“, სკანდირებენ!**

● **ჩვენი ჯერონიმო და ძებნილები ისევ კიევში არიან თუ, მიაშურეს დისლოკაციის ადგილებს?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების პერსპექტივა

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობანი ორი სახელმწიფოს სამხედრო დაპირისპირების დროიდან, 2008 წლის აგვისტოში ძლიერ გამწვავდა, ამის შემდეგ კი რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციამ და მათი დამოუკიდებლობის ოფიციალურმა აღიარებამ გამოიწვია თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური კავშირების გაწყვეტაც. ამ დროიდან რუსეთი მუდმივად აღნიშნავდა, რომ ასეთი სიტუაციის მიზეზი გახდა სააკაშვილის მთავრობის პოზიცია, რომელიც ცნობილია თავისი პროდასავლური ორიენტაციით. მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში პარლამენტის არჩევნების შემდეგ, რის შედეგადაც სააკაშვილმა და მისმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განიცადა დამარცხება, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება კი გადავიდა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის კონტროლქვეშ, ორივე ქვეყანაში აცხადებდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს დამოკიდებულება დასავლეთთან

ორი სახელმწიფოს ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია საქართველოს ორიენტაცია დასავლეთზე, რომელიც სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მუდმივად განიცდიდა კრიტიკას რუსეთის მხრიდან. ამ პრეზიდენტის წასვლით და თბილისში ახალი მთავრობის ჩამოყალიბებით დაიწყო იმის ვარაუდი, რომ საქართველო, შეამცირებს დასავლეთთან თავისი დაახლოების ტემპებს, მაგრამ, ჯერჯერობით, ამის არანაირი ნიშნები არ შეინიშნება. კერძოდ, პარლამენტის არჩევნების წინ პარტია „ქართული ოცნება“ გამოვიდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირურთიერთობის შენარჩუნების ლოზუნგით, ნატოსთან შეერთების მისწრაფებით.

2013 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპარლამენტის გენერალურ ასამბლეაზე განაცხადა: „სავსებით ცხადია საქართველოს სურვილი, შევიდეს ევროატლანტიკური ალიანსსა და ევროკავშირში, კერძოდ, ამის შესახებ მითითებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ დოქტრინასთან დაკავშირებით. ამ დროს ეს არ უპირისპირდება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პრინციპს“. შეგახსენებთ, რომ შარშან წლის ბოლოს ვილნიუსში ევროპელმა ლიდერებმა ერთმანეთში გაცვალეს ხელშეკრულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ინტეგრაციის შესახებ.

არის თუ არა შესაძლებელი საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაცია?

თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროსა და თავისი გამარჯვების შემდეგ პარტიამ „ქართული ოცნება“ განაცხადა, რომ რჩება ერთგული თავისი ვალდებულებებისა ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხში და რომ მას განზრახული აქვს მიაღწიოს რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციას. ამავე დროს, ამჟამინდელი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა, სააკაშვილის მსგავსად, დაბეჯითებით განაცხადა, რომ მიუღებელია მისთვის რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის არაღიარება და მოითხოვდა მისთვის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით დანიშნა ზურაბ აბაშიძე თავის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში. 2004-2008 წლებში აბაშიძე იყო საქართველოს ელჩი რუსეთში და მისი დანიშვნა, იმედია, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობათა ნორმალიზაციას. როდესაც თავისი კაბინეტის წევრებს წარადგენდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბრალი დასდო სააკაშვილს 2008 წელს რუსეთთან ხუთდღიანი ომის გაჩაღებაში. სწორედ ამგვარი განცხადების შემდეგ, რომელიც თბილისიდან გაისმა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასცა განკარგულება შეისწავლონ ორმხრივ ურთიერთობათა აღდგენის საკითხი ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებამდეც კი, რაც მოიწონა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარების კურსი, რასაკვირველია, ხორციელდება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური პარტნიორობის განვითარების მიზნით. 2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოს მიაყენა ზარალი თითქმის ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ქართული მხარის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, თავისი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საკითხების შეუხებლად, დაიწყეს მოლაპარაკება რუსეთის პარტნიორებთან თავისი ისეთი პროდუქციის ექსპორტის განახლების თემაზე, როგორიცაა ხილი, მინერალური წყალი და ალკოჰოლური პროდუქცია. მოლაპარაკების შედეგად ქართველმა მიმწოდებლებმა 2012 წლის ბოლოს შეძლეს მოეხდინათ რუსეთში ხილის დიდი პარტიის ექსპორტირება, კვლავ გახსნეს თავიანთთვის რუსეთის ბაზარი. 2013 წელს საქართველოდან რუსეთში საქონლის იმპორტზე ემბარგოს მოხსნის შემდეგ იქ შეიტანეს ქართული ღვინოების თითქმის ნახევარი — 22 მილიონი ბოთლის ოდენობით.

სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემა ორი ქვეყნის ურთიერთობებში

XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების წინა პერიოდში საქართველომ პროტესტი გამოხატა სოჭის ოლიმპიადის უშიშროების ზონის გაფართოების გამო აფხაზეთის რესპუბლიკის შიგნით ტერიტორიების საზღვრებამდე. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებდა ორ ქვეყანას შორის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემას.

საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა დარწმუნებულია, რომ დიპლომატიურ ურთიერთობათა განახლება საქართველოსა და რუსეთს შორის შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის ჯარების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპაციის შეწყვეტისა და მოსკოვის მიერ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმების შემდეგ. მაგრამ კრემლი მრავალჯერ უარყოფდა ამ წინადადებას, აცხადებდა, რომ ეს საკითხი არც განიხილება.

ვლადიმერ პუტინმა თავის შეხვედრაზე სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტთან ლეონიდ თიბილოვთან აღნიშნა, რომ მხარეებმა მოილაპარაკეს კაპიტალდაბანდებათა გეგმების შესახებ 2013-2014 წლებისთვის. რუსეთის ლიდერის სიტყვებით, ოსეთის მოსახლეობის 80 პროცენტი რუსეთის მოქალაქეებად ითვლებიან. რუსეთის წარმომადგენელთა პოზიცია აჩვენებს, რომ მათ არ აქვთ განზრახული წავიდნენ რაიმე დათმობაზე აფხაზეთთან და ოსეთთან დაკავშირებით. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა: „არც საქართველოსთან, არც რომელიმე სხვა ქვეყანასთან ჩვენ არ განვიხილავთ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის განვითარების პერსპექტივას იმიტომ, რომ ამ ავტონომიების მომავალს განსაზღვრავს მათი მოსახლეობა, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისთვის გამოდის. რუსეთმა განსაზღვრა თავისი პოზიცია და ოფიციალურად აღიარა ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა“.

რაგომ უნდა გაუწიოს ევროკავშირმა დახმარება საქართველოსა და მოლდოვას დაუყოვნებლივ

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივა გულისხმობს მხოლოდ წმინდა პრაქტიკულ მიდგომებს, მაგრამ ჭეშმარიტ ნორმალიზაციამდე ჯერ კიდევ მეტად შორია. რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანწილად ემყარება ზემოქმედების ბერკეტების გამოყენებას. როდესაც მოახდინა ორი ქართული ავტონომიური ოლქის ოკუპაცია, რუსეთი ჯერ კიდევ დიდხანს არ შეცვლის თავის სტრატეგიას ამ ქვეყანასთან ურთიერთობაში, გაზრდის ზეგავლენის ყველა შესაძლებლობას ამ კავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკაზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოში წარმოქმნილ ეკონომიკურ სირთულეებს, ხანგრძლივ პერსპექტივაში იგი ვერ შეძლებს გააგრძელოს თავისი მტრობა ასეთ ძლიერ მეზობელთან. ამის გამო სწორედ საქართველომ უნდა შეიმუშაოს ახალი ტაქტიკა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაცვისთვის რუსეთთან დამოკიდებულებაში და თავისი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაში. ივანიშვილის პოზიცია ასევე მეტყველებს მის მისწრაფებაზე დაიბრუნოს — დიპლომატიური მოლაპარაკების გზით — დაკარგული რეგიონები. ამიტომ აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობა საქართველოს ახალი მთავრობისა და ამ ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტთან იყო სულაც არა ივანიშვილის პრორუსული ორიენტაციის გამო. ეს იყო მხოლოდ ტაქტიკა, ან უკეთეს შემთხვევაში, რეალისტური მიდგომა რუსეთთან ურთიერთობისადმი, რომლის წყალობითაც საომავლოდ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველო დაიბრუნებს მისგან გამოყოფილ ტერიტორიებს.

ევროპარლამენტის გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ასევე მოუწოდა ევროპის ქვეყნებს, აღმოუჩინონ დახმარება რუსეთთან მოლაპარაკებაში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. მისი სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე შექმნა „პატარა ოკუპირებული სახელმწიფო“, მისი მთავრობის უპირველესი ამოცანა არის მოლაპარაკება რუსეთის თანამდებობის პირებთან ნორმალურ ურთიერთობათა დამყარებისთვის ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის.

არც ერთი — არც ყოფილი და არც ამჟამინდელი ქართველი პოლიტიკოსი — არ არის თანახმა მისი ქვეყნის ნაწილის ოკუპაციისა რუსეთის მხრიდან, ამიტომ არ არსებობს არანაირი საფუძველი ვიქონიოთ იმედი, რომ ასეთი სიტუაციის შენარჩუნების დროს ურთიერთობანი ორ ქვეყანას შორის პოლიტიკის, უშიშროების ან ეკონომიკის სფეროში შევა ნორმალურ კალაპოტში. ამას გარდა, იმ განცხადებების გათვალისწინებით, რომლებსაც აკეთებს საქართველოს მთავრობა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით, და იმ პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც რუსეთს უკავია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, რუსეთის მხარის აზრით, საქართველოს ახალი მთავრობის პოლიტიკა მხოლოდ გარეგნულად განსხვავდება სააკაშვილის მიერ განხორციელებული კურსისგან, მისი კურსი სინამდვილეში კვლავ ძველებური რჩება. ამ დროს ურთიერთობათა მოწესრიგება რუსეთთან მოითხოვს ხანგრძლივ დროს და აჩქარება ამ საკითხში მიგვიყვანს მხოლოდ მოლაპარაკებათა ჩაშლამდე, ვინაიდან მოსკოვი არაფერს აკეთებს ორმხრივ ურთიერთობათა მთავარი პრობლემის გადაწყვეტისთვის და არ აქვს განზრახული გადადგას რაიმე ნაბიჯები ამისთვის უახლოეს პერიოდში.

„ირას“,
ირანი

დედამიწის ზურგზე

პუტინმა იტალიელ დიზაინერს შთააგონა შეეძნა პოლიტიკური სეძს-სათამაშო

დიზაინერმა ფერნანდო სოსამ გადაწყვიტა შეეტანა თავისი წვლილი ჰომოსექსუალისტების უფლებებისთვის ბრძოლაში, შექმნა სათამაშო დიდებისთვის რუსეთის პრეზიდენტის სახით და წინადადება დააყენა გამოიყენონ იგი, როგორც ერთგვარი თოჯინა ვუდუ. თუმცა, ნაკეთობა დამზადებულია ქვიშაქვისგან — ამას ცხადია, აქვს პოლიტიკური ქვეტექსტი, მაგრამ სათამაშოს ხდის სახიფათოს გამოსაყენებლად.

* * *

დონეცკში წაგილწეს ტარას შევჩენკოს ძეგლი

ინციდენტი მოხდა პოეტის დაბადების 200 წლისთავის აღნიშვნის მეორე დღეს. მონუმენტს წაუწერეს უცენზურო სიტყვები. ვინ ჩაიდინა ვანდალიზმის აქტი, უცნობია, ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიუთითებენ იმაზე, რომ ეს შეიძლება გაეკეთებინათ პრორუსულ აქტივისტებს.

* * *

ყირიმის ხელისუფლებამ გამოაცხადა უკრაინის სამხედრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ

ყირიმის პრემიერ-მინისტრს განზრახული აქვს მოახდინოს ნაციონალიზება არა მხოლოდ უკრაინის ფლოტისა, არამედ ერთადერთი ნავთობგაზმომპოვებელი სახელმწიფო კომპანიისაც და რამდენიმე ნიადაგის გამოყენების სახელმწიფო ობიექტებისა. ყირიმის ხელისუფლება კერძო უკრაინელ ბიზნესმენებს პირდება, რომ მათ ხელს არ ახლებს.

* * *

მსოფლიო ბანკი დაეხმარება უკრაინას, გამოუყოფ სამ მილიარდ დოლარამდე, ევროკავშირი დახმარებას 1,6 მილიარდ დოლარამდე გაზრდის

„ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ უკრაინელ ხალხს მისთვის ამ მძიმე პერიოდში და დიდი იმედი გვაქვს, რომ ქვეყანაში სიტუაცია მალე სტაბილური გახდება“, — განაცხადა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯიმ ენ კიმმა. მან ასევე დაადასტურა, რომ გრძელდება უკრაინის დახმარების პროგრამების დამუშავება.

„რომ გავიზრდები, იმ ცუდ კაცს მოვკლავ“...

ცნობილი ჟურნალისტის დავით ჭელიძის საოჯახო ალბომი უამრავ ფოტოს ინახავს, რომლებსაც გამორჩეული წუთები და წამები შემოუნახავთ. გთავაზობთ ბატონ დავითთან ინტერვიუს

ვახტანგ ჭელიძე და მისი სეხნია, პატარა ვახტანგი, შვილიშვილები: იკა, მაია, დედა – ვალენტინა ტატიშვილი და დავით ჭელიძე

– რომელია ყველაზე ძველი ფოტო? საბჭოთა რეპრესიები არც თქვენს ოჯახს ასცდა – ბაბუა დახვრიტეს. გაიხსენეთ ეს ისტორია...

– ბებია მარიამის ფოტო. ბაბუა – ვასილ ჭელიძე 1937 წელს დახვრიტეს, ბებია და ორი ვაჟი – ვახტანგი და პოლიექტორი, რომელიც ახლა 102 წლისაა და თავს მშვენივრად გრძნობს. მთელი ცხოვრება წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ბიჭები მშივრები არ დარჩენილიყვნენ. ხომ რამხელა სევდას და ტკივილს ატარებდა – ქმარი, ორი შვილი, ერთიცა და მეორეც სულ პატარები და არასდროს არაფერს გაგრძნობინებდა... საწყალ ბებიაჩემს ჩაის კრეფისგან სულ დაკოჟრილი, გაუხეშებული ჰქონდა ხელები, ერთი ბეწო ოდა და პატარა ეზო-ბაღ-ბოსტანი ჰქონდა. ბახვიდან თბილისში რომ ჩამოდიოდა, წინასწარ გვაფრთხილებდა და მახარაძის (მაშინ ასე ერქვა ოზურგეთს) მატარებელს ვხვდებოდით უთენია. ჩამოჰქონდა უგემრიელესი ვაშლი და ხილფაფა, ჩირები, ტყლაპები, კვახები, თხილი და ვინ იცის, კიდევ რა აღარ. ან როგორ ათრევდა ამდენს, ან ორი-სამი დიდი ოჯახის მოსავალი როგორ მოდიოდა ამ პატარა ეზო-კარში, დღემდე მიკვირს. თუმცა, სამფა „იუბკის“ ჯიბიდან მაინც ამოაცურებდა ხოლმე ხან კანფეტს, ხან ჩირს...

– თქვენ გამორჩეულ ლიტერატურულ გარემოში იზრდებოდით. მამა, ვახტანგ ჭელიძე – ცნობილი მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი, იყო, ვიცით დედის – ვალენტინა ტატიშვილის საინტერესო მთარგმნელობითი საქმიანობაც. განსაკუთრებულად რა დაგამახსოვრდათ ბავშვობიდან?

– მამაჩემის შვილობა რთულია. ჩემი თანდასწრებით მამას რომ აქებდნენ, რატომღაც ყოველთვის მრცხვენოდა. უახლოესი მეგობრები ამას ჩემს ახირებად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს ეტყობა „აღზრდის“ ბრალი იყო. მამას არც თანამდებობები აკლდა და არც პატივი, თუმცა, არც მოხსნა და ადგილის დაკარგვა იყო მისთვის უცხო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ცისკრის“ პირველი ნომერი ლამის თავზე გადაახიეს და „რესტავრირებული“ სახით ახლიდან გამოაცემინეს.

ზომიერად მკაცრი მახსოვს. ისეთი ონავარი ბავშვი ვიყავი, ეს არც მიკვირს. ბევრჯერაც დავუსჯივარ. ერთხელ, როგორც ჩანს, ისე გავამწარე, ფეხბურთზეც კი არ წამიყვანა და დედა გააფრთხილა, მეზობელთან მატჩის საყურებლად არ გაუშვაო (დედას შევეცოდე და იმ მატჩის ტელერეპორტაჟი მაინც ვნახე). ეს ის დროა, როცა ტელევიზორები ახალი შემოსულია და ჩვენ ჯერ არ გვქონდა შეძენილი.

მამაჩემი თავის ნაწერებში არასოდეს მახედებდა, თუმცა, რომ ვთქვა, ძალიან მაინტერესებდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ბავშვობაში ჩემი ძირითადი საქმე ეზო და ბურთი იყო, უფროს კლასებში, ხშირად სკოლის ხარჯზეც, ლაღიძის წყლებთან გვქონდა „ბირჟა“, ახლა იქ ტრიკო-მაიკების მაღაზიაა, ხოლო ლაღიძის მშვენიერი წყლები შხამიანმა „კოკა-კოლამ“ შეგვიცვალა.

მაგრამ, რა დროსაც უნდა მოვსულიყავი სახლში, წიგნს წავეტანებოდი და დილამდე ვკითხულობდი. მაგალითად, ქიმიის სახელმძღვანელოს ქვეშ მუდამ ხან დიკენსი მედო, ხან ვაჟა, ხანი ვინ და ხან ვინ. არა, ამათ წაკითხვას კი არავინ მიშლიდა, პირიქით, მაგრამ სხვა დრო რომ არ მქონდა?!

ნოდარ დუმბაძისთვის მამაჩემი პირველი რედაქტორიც იყო და უახლოესი ადამიანიცა და მეგობარიც. ამიტომაც ყოველ თავის ახალ რომანს, გამოცემამდე, საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილს, მამაჩემს აკითხებდა ხოლმე. მამაჩემს ღამით მუშაობა არ უყვარდა, უთენია, 5-6 საათზე იღვიძებდა, 9 საათამდე იმუშავებდა, 11-მდე დაიძინებდა და მერე სამსახურში წავიდოდა. ჰოდა, დილის 6 საათამდე ძია ნოდარის ყველა რომანი წაკითხული მქონდა...

დედაჩემს დედა ძალიან პატარას გარდაეცვალა, მამა სამხედრო ინჟინერი იყო და ფაქტობრივად, თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა. ამიტომ ხან ერთ დეიდასთან ცხოვრობდა სურამში, ხან მეორესთან – თელავში... მამაჩემი სკოლაში ასწავლიდა დედას და იქიდან გაუბიათ რომანი. 1946-ში ჩემი და მოევლინა ამ ქვეყანას, 50-ში – მე...

დედამ თარგმნა დევიდ უეისის რომანი როდენზე „შიშველი მოვალ ამქვეყნად“, რობერტ პენ უორენის რომანი „მეფის მთელი მხედრიონი“, ტრუმენ კეპოტის მოთხრობები: „ბალახის ჩანგი“, „საუზმე ტიფანისთან“, „ერთი მე მკითხეთ!“, „ვერცხლით სავსე ბოთლი“, „ერთი შობა დღის მოგონება“, „სტუმარი მადლიერების დღესასწაულზე“. ინგლისური ლეგენდებისა და ბალადების მიხედვით თარგმნილი „რობინ ჰუდი“ (წელს გამოსცა სულაკაურის გამომცემლობამ), მაინ რიდის რომანი „თეთრი თათმანი“ და „კვარტერონი ქალი“, ჰოგარტის – საბავშვო (2-4 წლის ბავშვებისთვის) ნახატებიანი ერთი ციცქნა ძალიან გემრიელი წიგნუკა „მაფინის თავგადასავალი“.

ერეკლე ტატიშვილი

– გამორჩეულია საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმის აივანზე გადაღებული თქვენი საოჯახო ფოტო. რა ისტორიას უკავშირდება იქ ჩასვლა?

– საგურამოში გავემგზავრეთ ილიას სახლის მოსანახულებლად. მამაჩემს თავისი სეხნია - ვახტანგი ჰყავს ხელში აყვანილი, მის გვერდითაა ჩემი დისშვილი იკა მეგრელიშვილი, ჩემი მაიკო, დედაჩემი და მე... მათ შორის ყველაზე პატარა ვახტანგი – მაშინ ოთხიოდე წლისა – პირველად წავიყვანეთ საგურამოში. სახლი დაკეტილი დაგვიხვდა და სანამ მორიგე თანამშრომელს მოვძებნიდით, ბავშვები ეზოს მოედვნენ. უფროსი ბავშვებისათვის უკვე ნაცნობი იყო ყველაფერი და მაშინვე მისცვივდნენ იმ თაროს, სადაც სამარცხვინო ტყვიაა გამოფენილი. ამასობაში სხვა ბავშვებიც შემოვიდნენ. გიდი გვიხსნიდა ამ საბედისწერო ტყვიის თავგადასავალს. ეტყობოდა, ყველამ იცოდა ეს, მაგრამ სულგანაბული და აშკარად შეწუხებულები, შემცბარ-შეშფოთებულები იდგნენ და ისმენდნენ. აი, როგორ აღწერს ამ დღეს მამაჩემი: „ჩვენი პატარა შვილიშვილიც იქვე იყო, მაგრამ უკვე დაღლილი და თავჩაღუნული განზე იდგა. დანარჩენი ბავშვებისაგან განსხვავებით მისი სახე არც სიბრალულს გამოხატავდა და, მით უმეტეს, არც შეშფოთებას. მწერლის ეზოდან რომ გამოვედით, ბავშვებმა ზედაზენზე ასვლა მოგვთხოვეს და უკვე შებინდებული იყო, როცა შინისაკენ გამოვბრუნდით. ბავშვები ერთხანს გატაცებით ლაპარაკობდნენ ახალ შთაბეჭდილებებზე, მერე დაღლილობა მოერიათ და მიჩუმდნენ. საღამოს, დაძინების წინ, როცა უკვე ლოგინში აწვენდნენ, სულ პატარამ, უმცროსმა შვილიშვილმა, პირველად ამოიღო ხმა: „რომ გავიზრდები, იმ ცუდ კაცს მოვკლავ“. ეს თქვა ძალიან მშვიდად, ბავშვისთვის დამახასიათებელი შეუვალი სიმტკიცით, დიდი ფიქრის შემდეგ ძნელად მიღებულ გადაწყვეტილებას რომ ამოთქვამ.

მას მართლაც ჰქონდა სათამაშო თოფი, მაგრამ ასეთი აგრესიულობა, თანაც ასეთი სიმშვიდითა და სიმტკიცით გამოთქმული, ჯერ არ გამოუჩენია და ამიტომ დედამისი გაკვირვებით ჩაეკითხა, ვის უპირებ მოკვლასო. ბავშვმა ისეთივე სიმტკიცითა და სიმშვიდით თქვა: „ვინც ის კარგი კაცი მოკლა, ჩვენ რომ ვიყავით დღეს“.

პირველი გრძნობა, რაც ამ სიტყვებმა გამოიწვია ჩემში, იყო სიხარული. და მერე – გაკვირვება. რადგან ამ ბავშვს, საგურამოდან მოკიდებული ხმა არ გაუღია, და, საერთოდ, არაფრით გამოუხატავს თავისი განწყობილება.

– თქვენს ალბომში უნივერსიტეტის პროფესორის – ერეკლე ტატიშვილის ფოტოც ინახება...

– მამა იხსენებს, რომ ერეკლეს თავის პატარა ოთახში ჩარჩოში ჩასმული ნიცშეს დიდი სურათი ეკიდა. ერთხელ გასაჩხრეკად რომ მივიდნენ, ჩეკისტებს გორკი ეგონათ. გორკის სურათი კი დაგიკიდია, მაგრამ ხარ კი მაგის პლატფორმაზეო, უთქვამთ... ერეკლე ტატიშვილის დაბადების დღეზე ყოველ წელს მიდიოდნენ მის საფლავზე ვაკეში და მერე პურს სჭამდნენ უფრო ხშირად ჩვენს ოჯახში.

– ერთ ფოტოზე თქვენ, სრულიად ახალგაზრდა ხართ, მშობლებთან ერთად, იქვე ჯანსულ ჩარკვიანი გელაპარაკებათ...ფოტო გადაღებულია წერეთელზე, გამოფენასთან... – რა წამი აღბეჭდა ობიექტივმა?

– სამწუხაროდ, ამ ფოტოს ამბავი არ მახსოვს, მაგრამ იქ ჯანსუღის ნაცვლად შეიძლება ნებისმიერი ყოფილიყო: ნოდარ დუმბაძე, ალექსანდრე ბანძელაძე (შურა – მხატვარი, რომელმაც სიბერეში დიდუბის ეკლესია მოხატა), გივი გეგეჭკორი, ედიშერ ყიფიანი ან ნებისმიერი სხვა ახალგაზრდა. საქმე ისაა, რომ მამაჩემი კვარტალში ერთხელ მაინც მართავდა შინ პურმარილებს „ცისკრელი“ ახალგაზრდებისთვის – მწერალ-პოეტებისთვის თუ მხატვრებისთვის და ამან უფრო დაახლოვა ისინი ერთმანეთს. არ დამავიწყდება, 1960 წელს მოსკოვში სსრკ პირველობის ფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს“ მსაჯმა წააგებინა. ეს ბიჭები რადიორეპორტაჟს უსმენდნენ ჩვენთან და ისეთ დღეში იყვნენ, ლამის იყო ქვედა მეზობელს ჭერი დაექციეს თავზე. მე მაშინ 10 წლისა, ავად ვიყავი, მაღალი სიცხე მქონდა და ლოგინში ვიწექი სხვა ოთახში. მაგრამ თითქოს მთელი მატჩის რეპორტაჟი თვალწინ მედგა.

– თქვენი უახლოესი მეგობრები იყვნენ თემურ მეტრეველი და ნუგზარ შატაიძე... რას გაიხსენებთ?

– თემურ მეტრეველი ჩემი შვილის - ვახტანგის ნათლიაა... მე, მეტრეველი, მისი და – ელისაბედი, ჩემი კნეინა ქეთინო ცომაია (მე სტუდენტმა მოვიყვანე ცოლი, მესამე კურსზე ვიყავი, თემური კი საკმაოდ გვიან დაოჯახდა) ხშირად დავდიოდით რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრებში, ოპერაში, კინოში... სტადიონზე ხომ სულ ერთად ვიყავით მე, თემო, ლევან ჭიჭინაძე (ჩემი ქალიშვილის – მაიას ნათლია). სუფრა არ გაიშლებოდა ჩემთან (საკმაოდ ხშირად), რომ მეტრეველი თამადა არ ყოფილიყო. ასევე ბიჭებს გვიყვარდა დუქნებში და არა რესტორნებში ქეიფი. მე და თემო მეტრეველი ერთად ვიყავით „კაბადონი-8“-ში (ის რედაქტორი, მე განყოფილების გამგე), „დილის გაზეთში“ (ის რედაქტორი, მე – მოადგილე), „ქართულ კულტურაში“ (თემო რედაქტორი, მე – მოადგილე), რადიოს მერე კი, მე „ლელოში“ გადავედი, თემო – „ახკომში“, მერე – მეც „ახკომში“, თემო კი ცოტა ხნის შემდეგ – „კომუნისტში“... სულ ერთად ვიყავით...

თემოსთანაც ხშირად გვიქეიფია სახლშიც და ხაშურშიც... ილია ჭავჭავაძე და სულხანსაბა განსაკუთრებულად უყვარდა, ამიტომაც დაარქვა შვილს – სულხანი. სხვათა შორის, თემო 5 წლით იყო ჩემზე უფროსი, ნუგზარ შატაიძე კი 9 მარტს გახდა 70 წლის... კარგი ადამიანი და მწერალი იყო, თავმდაბალი, თუმცა, საკუთარი თავის ფასი კარგად იცოდა.

– თქვენი სპორტული მოღვაწეობიდან გამორჩეულად სამახსოვრო ფოტო რომელია?

– ბევრი სამახსოვრო ფოტო მაქვს, მაგრამ ნანა იოსელიანთან ერთად გადაღებული ყველაზე მეტად მიყვარს. მაშინ „ლელოში“ ვმუშაობდი, საჭადრაკო დამატება „მერანის“ რედაქტორი ვიყავი. ეს ფოტო იმდროინდელია. ნანა რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქციაში გავიცანი. დედამ – ნათელამ მოიყვანა, პირველი ინტერვიუ მაშინ ავიღე. მერე უკვე მასთან მრავალი ინტერვიუს ჩაწერის ბედნიერებაც მერგო.

ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგი და მისი მეუღლე, დავით ჭელიძე

თამარ შაიშმელაშვილი

◎ ბატუტზე ხტომა

მოთელვა ევროპისთვის

დედაძალაძის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის დარბაზში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა თბილისის ღია პირველობა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ქუთაისელი და გორელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. საგულისხმოა, რომ ქართული სპორტის ისტორიაში გორელებმა პირველად იასპარეზეს მსგავს შეჯიბრებაში. მართალია, დებიუტანტები იყვნენ, მაგრამ მათმა გამოსვლამ სპეციალისტებსა და გულშემატკივრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საქართველოს ნაკრების წევრები პირველობაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ. 17-19 მარტს ქუთაისი ბატუტზე მხტომელთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს და ეს ტურნირი მათთვის ერთგვარი მოთელვა იყო. ორივე შეჯიბრება კი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ნაწილია. ამ ასპარეზობას 7-13 აპრილს პორტუგალიური გიმარაეში უმასპინძლებს.

თბილისის პირველობაში თავი გამოიჩინა ახალგაზრდებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ანა ოდიშვილმა: მან ინდივიდუალური პაექრობაც მოიგო და სინქრონული ხტომებიც თეონა ჯანჯღავასთან ერთად. ისინი ხომ 16-წლიანებში არიან მსოფლიოს ჩემპიონები. ვაჟებში გიორგი ავლოხაშვილისა და ლაშა გაბაშვილის დუეტმა (76,3) მოიპოვა ოქროს მედალი. სხვადასხვა ასაკში პირველ ადგილებზე გავიდნენ ანა ლაპიაშვილი, ბაგრატ დავითაშვილი, ლიზა ბაგაშვილი, გივი ლომიძე, მარიამ რაგიმოვი, ალექსანდრე ხირიანოვი, მეგი ფარულავა და თამაზ ლომსაძე. რაც შეეხება შეჯიბრებას სპორტის ოსტატის პროგრამით, აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

გოგონები. 1. ანა ოდიშვილი (94,52), 2. ქრისტინე სორდია (90,29), 3. თეონა ჯანჯღავა (73,89). **ბიჭები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი (89,4), 2. ლაშა გაბაშვილი (87,5), 3. ირაკლი ბეიტრიშვილი (77,0).

საგულისხმოა, რომ ავლოხაშვილი 13 წლისაა და ორი პროგრამით მოსინჯა ძალები. როგორც ოსტატებში, ისე ოსტატობის კანდიდატებშიც პირველი ადგილები დაიკავა.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:

გოგონები. 1. ნუცა ჭკუასელი (74,37), 2. მარიამ გუთნიაშვილი (70,04), 3. მარიამ ეგაძე (64,88). **ბიჭები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი (88,2), 2. ონისე თვალავაძე (67,25), 3. გიორგი ნაცვლიშვილი (46,25).

პირველი თანრიგის პროგრამით:

გოგონები. 1. სოფიო დაშნიანი (75,84), 2. ანა ქეშელაშვილი (63,45), 3. მართა თურმანიძე (62,58). **ბიჭები.** 1. თორნიკე ბარბაქაძე (67,4), 2. გიორგი ნაცვლიშვილი (45,20), 3. სტეფანე ელჩიანი (44,34).

პრიზიორთაგან თვალავაძე და ბარბაქაძე ქუთაისელები, დანარჩენები კი თბილისელები არიან.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ისევ იგორ კოკოშკოვი უხელმძღვანელებს

იგორ კოკოშკოვი საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებში კიდევ ორი წელი იმუშავებს. კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ინფორმაციით, თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმება უკვე შედგა.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, კოკოშკოვი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 2014 და 2015 წლების მატჩებში უხელმძღვანელებს.

ამასთან, საქართველოს ნაკრებს მიმდინარე წლის აგვისტოში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოუწევს ასპარეზობა ჩეხეთის, უნგრეთისა და პორტუგალიის ნაკრებებთან. წარმატების შემთხვევაში საქართველო ზედიზედ მესამედ გავა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 2015 წელს უკრაინა უმასპინძლებს.

კოკოშკოვი საქართველოს ნაკრებთან 2008 წლიდან მუშაობს, როცა ნაკრები ევროპის B დივიზიონში ასპარეზობდა. სერბი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ნაკრები პირველივე ციკლში A დივიზიონში გადავიდა, საიდანაც პირველივე ცდაზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

2011 წელს ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრები კონტინენტის საუკეთესო 12 გუნდში მოხვდა. გასულ, 2013 წელს, სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შემდეგ იგორ კოკოშკოვს საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულების ვადა ამოეწურა.

კოკოშკოვის გარდა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კიდევ ერთი სერბი კანდიდატი ჰყავდა, თუმცა, არჩევანი ისევ კოკოშკოვზე შეჩერდა. მოლაპარაკებები 10 მარტს დასრულდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კრივი

უმედლოდ არავინ დარჩენილა

ბაძოში გამართულ მოკრივეთა „ა“ კლასის საერთაშორისო ტურნირში („აბრეშუმის გზა“) 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოდან ძალებს ცდიდა 7 სპორტსმენი. ისინი ორკვირიან შეკრებაზე იმყოფებოდნენ აზერბაიჯანში და ყველა მათგანმა მედალი მოიპოვა. სხვებზე უკეთ იასპარეზა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი მიხეილ ბახტიძე (+91 კგ). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ: ირაკლი მელიქიშვილი (64 კგ) და გელა აბაშიძე (69 კგ). ბრინჯაოს მედლები ხვდათ: გოგა გელაშვილს (60 კგ), გოჩა ბადურაშვილს (75), რომან თავაძეს (81 კგ) და ირაკლი გვენეტაძეს (91 კგ). გუნდურში ჩვენმა ნაკრებმა (მწვრთნელი დავით წიკლაური)

მასპინძლების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა და უკან მოიტოვა რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

რაფამ და მაშამ ტიტული ვერ დაიცვეს

მსოფლიო რეიტინგსიის ლიდერმა, ინდიან უელსის „მასტერზ 1000“-ის შარშანდელი გათამაშების ჩემპიონმა რაფა ნადალმა წლევანდელი ტურნირის მერვედფინალში გასვლა ვერ მოახერხა. კალიფორნიის შტატის შეჯიბრების მესამე წრეში 27 წლის მალიორკელი უკრაინელ ოლექსანდრ დოლგოპოლოვთან 3:6, 6:3, 6:7 დამარცხდა.

მესამე სეტის მსვლელობისას დოლგოპოლოვი საკუთარ მოწოდებაზე 5:3-ს იგებდა, მაგრამ საქმე მაინც ტაიბრეიკამდე მივიდა. ესპანურ-უკრაინული დაპირისპირება 2 საათსა და 19 წუთს გაგრძელდა. დოლგოპოლოვი მეექვსედ შეხვდა ნადალს და პირველად მოახერხა მისი დამარცხება. მეოთხედფინალში გასასვლელად ოლექსანდრი იტალიელ ფაბიო ფონინის დაუპირისპირდება, რომელმაც ინდიან უელსის ტურნირს ფრანგი გაელ მონფილსი გამოთიშა.

ახალი ჩემპიონი ეყოლება ქალთა შეჯიბრებებსაც. ნადალის მსგავსად, მოქმედი გამარჯვებული მარია შარაპოვა მესამე წრეში დამარცხდა. რეიტინგსიის მეოთხე ნომერ რუსს იტალიელმა კამილა ჯორჯმა 6:3, 4:6, 7:5 სძლია. ჯორჯის სამერვედფინალე მოწინააღმდეგე კიდევ ერთი აპენინელი ფლავია პენეტა იქნება.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

ჩემპიონატი 20 მარტს განახლდება

საქართველოს მორაგბეთა XXIV ეროვნულ ჩემპიონატში 20 მარტამდე შესვენებაა, თუმცა, მე-16 ტურის ერთი შეხვედრა ვადაზე ადრე გაიმართა. ერთმანეთს „ჯიქები“ და „აკადემია“ დაუპირისპირდნენ. უჩვეულო ორთაბრძოლა გამოდგა. პირველი ტაიმი ფრედ – 0:0 დამთავრდა. შესვენების შემდეგ აკადემიელმა მათიაშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. საჩემპიონო პლეი ოფში გასვლის ამბიციის მქონე თბილისის „ჯიქები“ ზედიზედ მეხუთე წაგების საშიშროების წინაშე დადგა, რამაც მატჩის მიწურულს მისი მორაგბეები გამოაფხიზლა და კიკნაძემ ლელოთი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს – 5:3. მართალია, „ჯიქები“ ექვსეულში დაბრუნდა, მაგრამ კონკურენტებზე ორი და სამი მატჩით მეტი აქვთ გამართული. მე-10 ტურის გამოტოვებული პაექრობა „ბათუმსა“ და „არმაზს“ შორის 12 მარტს არის დანიშნული.

გივი გაგუა

გათამაშების ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
„ლელო“	13	10	0	3	373-153	49
„აია“	13	10	0	3	292-158	46
„არმია“	13	9	1	3	363-212	45
„ლოკომოტ“	13	9	0	4	298-235	40
„ყოჩები“	13	8	1	4	284-243	38
„ჯიქები“	15	6	2	7	261-232	35
„არმაზი“	12	7	0	5	208-227	31
„ხარები“	14	3	0	11	179-344	15
„აკადემია“	14	1	0	13	151-333	10
„ბათუმი“	12	1	0	11	162-434	6

◎ ინტერნეტიდან

გიოტცე სატრფოს დაშორდა

როგორც რეალობამ აჩვენა, ყველაზე მეტად ის წყვილები შორდებიან ერთმანეთს, რომლებიც გამუდმებით თავიანთ სიყვარულზე საუბრობენ და მუდმივად უსვამენ ხაზს იმას, რომ ერთმანეთის ყველაზე მეტად ესმით და მათი სიყვარული ისეთივე მარადიულია, როგორც ეგვიპტის პირამიდები.

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ დაადასტურა გერმანელი ფეხბურთელის მარიო გიოტცესა და გერმანელივე მოდელის ან-კატრინ ბრუმელის ამბავმა, რომლებიც გამუდმებულად მათ ტრფობაზე და ურთიერთგაგებაზე საუბრობდნენ, ბოლოს კი გაირკვა, რომ წყვილი სკანდალურად დაშორდა ერთმანეთს.

როგორც გერმანული „ყვითელი“ მედია იუწყება, დაშორების მიზეზი, შესაძლოა, ორმხრივი ღალატი იყოს, რისი ნიშნებიც თავიდანვე იკვეთებოდა. ან-კატრინი უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ნაკლებად ჩანდა ფეხბურთელის გვერდით, რაც საჭორაოს ბულვარულ პრესას ყოველთვის აძლევდა. ბოლოს კი ამ წყვილის დაშორება ოფიციალურად გამოცხადდა. ასე რომ, ვინც გამუდმებით საკუთარ სიყვარულზე საუბრობს, ურთიერთობებში ხშირად ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ მას აქვს ხოლმე...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

ბავშვები და კანფეტები

რითაა სახიფათო საკონდიტრო ნაწარმზე დამოკიდებულება

ბავშვებს ძალიან-ძალიან უყვართ კანფეტები. რითაა ეს სახიფათო და როგორ მივაჩვიოთ პატარები ცხოვრების სხვა სიხარულსა და ბედნიერებას?

გემოსა და ფერის შესაბამისად...

საკონდიტრო ნაწარმში უამრავი შაქარია, ძალიან მავნე, ეგრეთ წოდებული ჰიდროგენიზებული ცხიმები და, რაც მთავარია – ქიმია.

თანამედროვე კანფეტები – ეს განვითარებული სოციალიზმის ეპოქის ტკბილეული როდია, რითაც უმასპინძლდებოდნენ დღევანდელი ბავშვების მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს. საკონდიტრო მრეწველობა შეიცვალა სასწაულებრივ. სად ნახავ დღეს შოკოლადსა და კანფეტებს ვანილით? ვანილინის გემოთი, რასაც სინთეტური არომატიზატორი ეთილვანილინი ქმნის, უხვადაა ყველაფერი, ნატურალური ვანილინით რაიმეს შოვნა ხომ მთელი ტანჯვაა. თითქმის ყველა საღებავი – სინთეტიკაა ასო „ე“-თი ისეთი პოეტური სახელწოდებით, როგორიცაა „მზის ჩასვლა“, „წითელი მომხიბლავი“ და ა.შ.

„ასეთი საღებავები, რომლებიც მიმზიდველ სახეს ქმნიან, ხშირად ჭეშმარიტ და ცრუ ალერგიას იწვევენ, – ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იმუნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ლუდმილა ლუსი. – ერთ-ერთი ყველაზე მავნეა ტარტრაზინი. ადრე ის ცრუ ალერგიას იწვევდა, ახლა კი – ნამდვილს. ეს ხშირი მოხმარების გამო მოხდა – სხვა საღებარებთან შეხამებაში ტარტრაზინი ქმნის საღებავების მთელ გამას, და მას უმატებენ ბევრ პროდუქტში. სინთეტური საღებარები ნეგატიურ გავლენას ახდენენ ღვიძლზეც. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ზომა. დიდი მნიშვნელობა აქვს შევხედოთ, რისგანაა დამზადებული ტკბილეულობა და სასმელები. რაც უფრო მკაფიოდაა ისინი შეღებილი, მით უფრო სავარაუდოა, რომ მათში არის ქიმიური საღებარები. თანაც ტკბილეული აქვეითებს მადას, და ბავშვები უარს აცხადებენ ნორმალურ საკვებზე. დიდებმა ამაზე უნდა იფიქრონ“.

რა უმჯობესია?

„ვიყოთ რეალისტები – ბრძანებით ბავშვები კანფეტების ჭამას თავს არ დაანებებენ, –ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა კვების განყოფილების ხელმძღვანელი იგორ კონი. – ბავშვი ისე უნდა აღზარდო, რომ მან იცოდეს მიიღოს კმაყოფილება არა მხოლოდ ტკბილეულისგან. სხვათა შორის, ზოგიერთ ქვეყანაში დამოკიდებულება საკონდიტრო ნაწარმისადმი მკაცრია. როდესაც სკანდინავიაში ვიყავი, ყურადღება მივაქციე იმას, რომ შვედური მაგიდის მენიუში არაა კანფეტები. თურმე, იქ მათ აძლევენ მხოლოდ ერთხელ კვირაში. უმჯობესია, იყიდო კანფეტები ჩირით, ისინი სხვებზე უფრო სასარგებლოა. აი ყინულ-კარამელი ძირითადად მხოლოდ შაქარს შეიცავს, და კბილებისთვის სხვა საკონდიტრო ნაწარმზე უფრო მავნებელია. ყურადღება უნდა მივაქციოთ ეგრეთ წოდებულ დიათეზსაც – როდესაც ბავშვს უჩნდება კანის სიწითლე და ქავილი, აქერცვლა, ეწყება ფხანა, უნდა მივხვდეთ, თუ რომელი პროდუქტია ამაში დამნაშავე, რომ ისინი გამოვრიცხოთ.

დიათეზი – არის არა ალერგია, არამედ ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც იგი წინასწარ განწყობილია მისი განვითარებისთვის და ცუდად იტანს არომატიზატორებს, საღებარებს და ზოგიერთ სხვა კომპონენტს. გასული წლის ივლისიდან ამოქმედდა პროდუქტების უსაფრთხოების ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რომლის თანახმადაც პროდუქტებში ნებისმიერი ასაკის ბავშვებისთვის ნებადართულია გამოვიყენოთ მხოლოდ ნატურალური არომატიზატორები და საღებარები“.

ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, მაგრამ 2015 წლამდე გარდამავალი პერიოდი მოქმედებს, როდესაც ქიმია ჯერ კიდევ გამოიყენება. სამწუხაროდ, ყველა საკონდიტრო ნაწარმს როდი მოამზადებენ ნატურალური კომპონენტებით. ეს ხომ საჭიროა მხოლოდ საბავშვო პროდუქტებისთვის, კანფეტები და ტკბილეული კი გამოდის ყველა ასაკისთვის. მაგალითად, შოკოლადიანი ზეფირი ან „დათუნია“ – საბავშვო თუ დიდების პროდუქტია? ამიტომ ბევრ ტკბილეულში ძველებურად უამრავი სინთეტიკა იქნება. მაშასადამე, მშობლებმა, სულ ერთია, ყურადღებით უნდა იკითხონ საკონდიტრო ნაწარმის შემადგენლობა.

„წარმატებისთვის ნუ დააჯილდოვებთ ბავშვებს კანფეტებით, ნუ ჩაყრით ტკბილეულს ვაზებში, –გვირჩევს ბავშვთა ფსიქოლოგი იულია გურევიჩი. – ტკბილეული უმჯობესია, მივცეთ დესერტად სრულფასოვანი სადილის შემდეგ, მთავარია, ბავშვი გამოვკვებოთ კარგად, რომ იყოს მაძღარი და რომ არ ჰქონდეს სტიმული მიისწრაფოდეს ტკბილეულისკენ. თუ ბავშვი სპორტს მისდევს, მეცადინეობს წრეებში, აქვს ჰობი, მას ნაკლებად დააინტერესებს კანფეტები“.

რა იმალება კანფეტებსა და ტკბილეულში

მავნე კომპონენტები

შაქარი:

- **წონის მომატება**
- **კარიესი**

კვებითი დანამატები (საღებარები, არომატიზატორები და სხვ.):

- **ალერგია**
- **ცრუ ალერგია**
- **ღვიძლის დაზიანება**

ჰიდროგენიზირებული ცხიმები:

- **ზიანი სისხლძარღვებისთვის, იმუნიტეტისთვის და მთლიანად ნივთიერებათა ცვლისთვის.**
- **კიბოს მრავალი სახეობის განვითარების რისკი**

სასარგებლო კომპონენტები

ნატურალური შოკოლადი:

- **შეიცავს ანტიოქსიდანტებს**
- **სასარგებლოა სისხლძარღვებისთვის**

ჩირი:

- **შეიცავს ანტიოქსიდანტებს.**

ტვინის უჯრედებს იცავს

პროდუქტები, რომლებიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს

იცით თუ არა, რომ ადამიანის მეხსიერებას დაახლოებით 10 გიგაბაიტი ინფორმაციის დატევა შეუძლია. აქ თავმოყრილი ინფორმაციის მხოლოდ მეათედს ვიყენებთ, დანარჩენი ნაწილი კი ჩვენი ტვინის ხვეულებში ე.წ. მეხსიერებაში ილექება და ასაკის მატებასთან ერთად მისი დაქვეითება ხდება. ამის მიზეზი კი თავის ტვინის ქერქის უჯრედების კვდომა და მათ შორის კავშირის რღვევაა.

იმისათვის, რომ აზროვნება დიდხანს და სრულყოფილად შეევინარჩუნოთ, საჭიროა მასზე ახალგაზრდობიდანვე ვიზრუნოთ. ამისათვის კი საჭიროა რამდენიმე რჩევა გავითვალისწინოთ: სისტემატურად გავაკონტროლოთ საკვებში ქოლესტერინის დონე. უპირატესობა მცენარეულ პროდუქტებს, წითელ ღვინოსა და ფეხით სეირნობას მივანიჭოთ. რაც მთავარია, თამბაქოს მოწევაზე საბოლოოდ უნდა თქვათ უარი.

თქვენი ორგანიზმი გაამდიდრეთ თუთიით, მაგნიუმითა და კალციუმით. ავარჯიშეთ მეხსიერება. ამისთვის კი საკმარისია კროსვორდების ამოხსნა, ლექსების ზეპირად სწავლა და ანგარიშისას კალკულატორზე უარის თქმა.

გთავაზობთ იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომლებიც თქვენი ტვინის კვებას უზრუნველყოფს.

ჩაი

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პოლიფენოლები, რომლებიც ჩაის შემადგენლობაში შედის, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მეხსიერებას.

ხილი და ბოსტნეული

ანტიოქსიდანტი ანტოციანინი (რომელიც ჭარხლის შემადგენლობაშია) და ნასუნინი (რომელიც იისფერ ბადრიჯანშია) იცავს ტვინის ქსოვილის ლიპიდურ შემადგენლობას; ფოლიუმის მჟავა (მუქ მწვანე ბოსტნეულშია) თავიდან აგვაცილებს მეხსიერების დაკარგვას.

ვაშლი

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვაშლის წვენის შემადგენლობაში შედის ისეთი ნივთიერება, რომელიც ტვინის უჯრედებს ოქსიდანტური სტრესისგან იცავს.

წყალი

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტვინის გაუწყლოება ჰორმონ კორტიზოლის გამომუშავებას უწყობს ხელს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ტვინის თვისებაზე, შეინახოს ინფორმაცია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრს თეიმურაზ ხევსურიანს ძმის

როლანდ ხევსურიანის

გარდაცვალების გამო.

სს „საქწყალპროექტის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა პროექტის მთავარი ინჟინერი

თემურ მდინარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ცვალებადი ამინდი ერთ კვირას გასტანს

საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში წვიმიანი და ცვალებადი ამინდი იქნება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომელმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, დღეს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე იწვიმებს. მაღალმთაში ღამით მოთოვს; კერძოდ, მესტიაში, გუდაურში, ახალქალაქში, წალკასა და ბაკურიანში.

14 მარტამდე, წვიმიანი ამინდი დასავლეთ საქართველოშიც შენარჩუნდება. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ღამით 2-7 გრადუსი იქნება; დღისით კი 5-10 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში ღამით 1-6, ხოლო დღისით 8-13 გრადუსი იქნება.

14 მარტიდან 17 მარტამდე საქართველოში გამოიდარებს. დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 20-22 გრადუსამდეც აიწევს. აღმოსავლეთ საქართველოში კი 15 გრადუსამდე იქნება.

17 მარტის შემდეგ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამინდი ისევ შეიცვლება და იწვიმებს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 5 მაისს, 12 საათზე, სასტუმრო „ბაზალეთი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში – ქ. თბილისი, გულიას ქ. №1, გაიმართება შპს „ეკოლოგიკას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია თბილისში და მის შემოგარენში არსებული რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

სასტუმრო „ბაზალეთი პალასის“ საკონფერენციო დარბაზი – ქ. თბილისი, გულიას ქ. №1.

შპს „ეკოლოგიკას“ ოფისში – ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი კორპ. 2. ტელ: 5(99)57 22 21

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „ეკოლოგიკას“ ადმინისტრაცია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 4 აპრილს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2013 წლის ბალანსის შედეგების განხილვა.

მომხს. ნ. გუმბერიძე.

2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება.

მომხს. ც. მიქაძე.

3. სხვადასხვა.

სს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2014 წლის 19 თებერვალი.

დაიჯესტი

მუსიკა და... საჭმლის გემო

ბრიტანელ ფსიქოლოგთა აზრით, ტრაპეზის დროს ფონურ მუსიკას... საკვების გემოს გაუმჯობესება შეუძლია.

ექსპერიმენტის დროს მეცნიერებმა მოხალისეებს სხვადასხვა კერძის გემოს შეფასება სთხოვეს. დეგუსტაციას სხვადასხვა ფონური ბგერა ახლდა. ექსპერიმენტის დროს გაირკვა, რომ დაბალსიხშირიანი კლასიკური მუსიკა ყავისა და შოკოლადის გემოს აუმჯობესებს, უფრო მსუბუქი კლასიკური მუსიკა ციტრუსებისა და დესერტის გემოს უხდება, ზღვის ტალღების დგაფუნი კი განუმეორებელ გემოს იმავე ზღვის პროდუქტებს ანიჭებს.

სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ თავის ტვინი საჭმლის მიმზიდველობას არა მარტო გემოსა და სუნს, არამედ ვიზუალური და სმენითი ინფორმაციის საფუძველზეც აფასებს.

ნუ „გადაიმლაშებთ“ ორგანიზმს!

ცნობილია, რომ ორგანიზმში ჩვეულებრივი მარილის ჭარბ შემცველობას ჰიპერტონიის, ინსულტის, გულის დაავადებებისა და კუჭის კიბოს გამოწვევაც კი შეუძლია, თანაც ყველა ამ პრობლემას დაგროვებითი ეფექტი აქვს.

ამიტომაცაა, რომ ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციამ მარილის მოხმარების ნორმები გვაახლა – მოზრდილთათვის ესაა დღეში 2 გრამი, რომელიც, რომ იტყვიან, დანის წვერზე დაეტევა. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ყოველდღე სულ მცირე 3,5 გრამი კალიუმის მოხმარება, ამიტომაც რაც შეიძლება მეტი ნიგოზი, ისპანახი, კომბოსტო, ბანანი, პაპაია, ფინიკი და ლებნიანები მიირთვით.

ადამიანი სრულიად უმარილო დიეტაზეც რომ დაჯდეს, იგი არ მოკვდება, რადგან ორგანიზმს სავსებით ეყოფა ის მარილი, რომელსაც კვერცხი, რძე, ახალი ბოსტნეული შეიცავს. თუმცა, არც მთლად უმარილობა ვარგა, რომლის გარეშე მარილმჟავა, ანუ კუჭის წვენი არ გამომუშავდება.

საკუთარ ფესვთა ძიება

ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ახალი საოჯახო გატაცება – პირადი გენეალოგიური ხის შედგენა.

როგორც ამ ჰობის ტრფიალები აცხადებენ, საკუთარი ოჯახის შესწავლა უაღრესად საინტერესო საქმიანობაა, რომელსაც ბევრი აღმოჩენა ახლავს. გარდა ამისა, გენეალოგიის ხის შედგენა ოჯახის წევრებთან ერთობლივად რაღაცის კეთების საუცხოო საშუალებაა, რადგან ერთად რაღაცის კეთება ოჯახს მეტად ადუღაბებს.

საუკეთესო ადგილი დედამიწაზე

მაინც სად მდებარეობს ის შორეული, გასაოცარი ადგილი, რომელსაც სხვადასხვა ერი „აღთქმულ მიწას“ უწოდებს, როგორია იმ მხარის გეოგრაფიული კოორდინატები, სადაც ნებისმიერი ადამიანი აუცილებლად ბედნიერი გახდება?

სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხალხში დედამიწაზე ყველაზე უკეთეს ადგილად ლეგენდარული, მითიური ქვეყნები იყო მიჩნეული: მაგალითად, შამბალა – კაცობრიობის ევოლუციის მამოძრავებელ „დიად მასწავლებელთა“ ადგილსამყოფელი (სავარაუდოდ, იგი ჰიმალაებში, გობის უდაბნოში მდებარეობს); ბელოვოდიე – თავისუფლების ქვეყანა (ალტაი); წყალქვეშ ჩაძირული კიტეჟი (ნიჟეგოროდის ოლქი); კელტების ასტრალური კუნძულები – მაგალითად, მარადიული ახალგაზრდობის კუნძული (ირლანდია); არკადია – ბედნიერი, უდარდელი ცხოვრებისა და სიხარულის ქვეყანა (საბერძნეთი); ჰიპერბორეა – მსოფლიო კულტურის წინაპარი, ჩრდილოეთში ნეტარი ხალხის ჰიპერბორეელების ადგილსამყოფელი; და, რაღა თქმა უნდა, ელდორადო – სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ამერიკაში ოქროსა და პატიოსანი თვლების ქვეყანა.

მაინც, სად არის ასეთი ადგილი ამჟამად?

მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ადგილი – ესაა სამშობლო, სადაც კაცი ყოველთვის ბრუნდება რაგინდ შორს იყოს წასული, ის ადგილი, სადაც იგი უყვართ და ელიან.

ბევრისთვის კი სამშობლოს გარდა ეს ოკეანეა, რომელიც ჩვენსავით ცოცხალია, ზოგჯერ კეთილიც კი. მას სული და ნება გააჩნია, იგი ჩვენზე ძლიერია. იქ სიმარტივე არ არსებობს, იქ გამუდმებით ვილაც შენს გვერდითაა – თევზები, ვეშაპები, დელფინები, ფრინველები... ამავე დროს, შენ მარტოკა ხარ საკუთარ თავთან და სამყაროსთან. ეს ის ადგილია, სადაც უფრო ადვილია უფლის ხმის გაგონება...

ჯანმრთელი ევროპელები

ევროპაში ყველაზე ჯანმრთელ ერად შვედები აღიარეს. რეიტინგის შედგენისას ევროპის ქვეყნების მცხოვრებთა სამედიცინო მაჩვენებლებს და სიცოცხლის ხანგრძლივობას ითვალისწინებდნენ.

საშუალო სტატისტიკური შვედი მამაკაცი ჯანმრთელია 71 წლის ასაკამდე, ქალი – 70 წლამდე, მაგრამ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით მამაკაცები ქალებს 4-5 წლით ჩამორჩებიან.

მეორე ადგილზე მალტა გავიდა: მალტელი მამაკაცები ჯანმრთელობას 70 წლამდე ინარჩუნებენ, ქალები – 71 წლამდე. მესამე ადგილი საბერძნეთს ერგო, სადაც ქალების ჯანმრთელად ყოფნის ასაკი 67,6 წლით, ხოლო მამაკაცების – 66,4 წლით შეაფასეს.

მეოთხე ადგილზე გასულ კვიპროსს, მოსდევენ ესპანეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, საფრანგეთი და გერმანია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანად ვაანალიზებთ

უახლოეს დღეებში თეა წულუკიანს თანამდებობიდან გადააყენებენ?

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, უახლოეს დღეებში თეა წულუკიანის არაპროფესიონალური ქმედებისა და კეზერაშვილის საქმეზე საფრანგეთის პროკურატურაში შესაბამისი მასალების არგაგზავნის გამო, აუცილებლად დადგება თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი. წყარო არ აკონკრეტებს, კერძოდ, რა არ გადააგზავნა და რა პირობა დადო წულუკიანმა საფრანგეთის ელჩთან. მისი თქმით, იუსტიციის მინისტრმა ნება იბოძოს და ის მასალები გამოაქვეყნოს, რაც საფრანგეთის პროკურატურას გადაეგზავნა.

„ალია“

ყოფილი პოლიტპატიმრები ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებენ

საქართველოში რომ 200-მდე პოლიტპატიმარი და 25-ზე მეტი პოლიტდევნილია, ამას ბოლო დროს ძალიან გააქტიურებული „ნაცმოძრაობა“ არ აღიარებს. უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე საუბარი მაინცდამაინც „ქართულ ოცნებასაც“ არ სიამოვნებს. სხვა რომ არაფერი, დაზარალებულები სამართლიანობის ბოლომდე მიყვანას, რეაბილიტაციას, ზარალის კომპენსაციას მოითხოვენ. სამართლიანობის აღდგენა „მეოცნებეების“ წინასაარჩევნო დაპირებაა, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ შეუქმნია ორგანო, რომელიც დაზარალებულების საქმეებს გადასინჯავს.

„ჩვენ ხელისუფლებას ათდღიან ვადას ვაძლევთ. თუ არაფერი შეიცვალა, გადავალთ სხვა მასშტაბურ ღონისძიებებზე, – ამბობენ პოლიტპატიმრები.

„ახალი თაობა“

ეკონომიკა მაღლა მიიწევს, მოსახლეობა დაბლა ეშვება

ბოლო რამდენიმე თვეა, ეკონომიკა იზრდება, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კი არ უმჯობესდება. სპეციალისტების ნაწილი კვლავ წლის მეორე ნახევრის მოლოდინშია. „ეკონომიკა დაიძრა და ზრდა გაცილებით მეტი იქნება. რაც შეეხება მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, რომელიმე სექტორში ინვესტიციები თუ განხორციელდა, ეს ეკონომიკის მატებაზე გავლენას მოახდენს, ხოლო მოსახლეობის სოციალური ფენის მდგომარეობის გაუმჯობესება, მყისიერად ვერ მოხდება“, – ამბობს ექსპერტი ავთანდილ სილაგაძე.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

– ჩემი ტილოებით ხომ არავინ დაინტერესებულა? – ეკითხება მხატვარი გალერეის პატრონს.

– კი, ერთი მამაკაცი დაინტერესდა, მოიმატებდა თუ არა ამ ნახატების ფასი თქვენი გარდაცვალების შემდეგ. აუცილებლად მოიმატებს-მეთქი, რომ ვუთხარი, ერთბაშად 15 ცალი ნახატი შეიძინა.

– შესანიშნავია! ვინ იყო ის კაცი? – ეკითხება მხატვარი.

– თქვენი მკურნალი ექიმი.

* * *

– ალო, ეს რესტორანია?

– დიახ. ბატონო.

– თქვენთან მაგიდის შეკვეთა გვინდა 7 საათისთვის...

– სიამოვნებით, ბატონო! სკამებსაც შეუკვეთავთ?

* * *

ჭკვიან ხელმძღვანელს პლუს ჭკვიანი ხელქვეითი, უდრის მოგებას.

ჭკვიან ხელმძღვანელს პლუს ბრიყვი ხელქვეითი, უდრის ნაყოფიერებას.

ბრიყვ ხელმძღვანელს პლუს ჭკვიანი ხელქვეითი, უდრის სამსახურებრივ წინსვლას.

ბრიყვ ხელმძღვანელს პლუს ბრიყვი ხელქვეითი, უდრის ზეგანაკვეთურ სამუშაოს.

* * *

ავტოინსპექციის პოსტზე დგას ჩასქელებული ინსპექტორი და ხედავს, რომ მისკენ მოხუცებული ქალი მოდის. მიუახლოვდა ბებო ინსპექტორს და მისგან ორიოდ მეტრში პალო ჩაასო ძროხის დასაბმელად.

– დედი, შენ რა, გაგიჟდი? აქ საძოვარი კი არ არის, სხვა ადგილი მოძებნე!

– არა, შვილო, აქ მირჩევნია, აქ, ალბათ, ჰაერიც ნოყიერია, შარშან აქ ისეთი გამხდარი ინსპექტორი იდგა...

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24